პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
27 ივლისი
1939 წ.
№ 170 (5570)
ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთში:

კრეისერ „ჩერვონა უკრაინის" წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები—ამხანაგ **სტალინს** (1-ლი გვ.)
ვლადივოსტოკის ქალაქის საბჭოს საზეიმო პლენუმის მისალმება—ამხანაგ **სტალინს** (1-ლი გვ.).
უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (1-ლი გვ.).
მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა მთელი საბჭოთა ხალხის სისხლხორცეული საქმეა (1-ლი გვ.).
საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია (მე-2, მე-3 და მე-4 გვ.).
რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია (მე-4 გვ.).
უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია (მე-4 გვ.).
ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია (მე-4 გვ.).
მოსახლეობის 1939 წლის სრულიად - საკავშირო აღწერის მუშაკთა დაჯილდოება (მე-4 გვ.).

# კრეისერ „ჩერვონა უკრაინის" წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები— ამხანაგ სტალინს

კრეისერ „ჩერვონა უკრაინის" პირადი შემადგენლობა კრეისერზე თქვენი სტუმრად მოსვლის 10 წლის იუბილეს დღეს მგზნებარე წითელფლოტურ სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა მეზღვაურების საუკეთესო მეგობარს. ამ დღის 10 წლისთავი, რაც თქვენ კრეისერს ეწვიეთ, სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის დღესასწაულს დაემთხვა. ამ დღეს ჩვენ უდიდესი სიხარულით აღვნიშნავთ, როგორც ისტორიულ თარიღს. ჩვენი სახელოვანი კრეისერის პირადი შემადგენლობის მუშაობის შეფასება, თქვენ მიერ 10 წლის წინათ მოცემული, წმინდად ინახება ჩვენს გულში. პირადი შემადგენლობა მთელი პერიოდის განმავლობაში ბოლშევიკურად იბრძოდა იმისათვის, რომ გაემართლებინა თქვენ მიერ მოცემული შეფასება, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ნიმუშებს იძლეოდა. ამ პერიოდში ჩვენი კრეისერის საბრძოლო ძლიერების ზრდასთან ერთად ადამიანებიც იზრდებოდნენ. ჩვენ ვამაყობთ ისეთი ამხანაგებით, როგორიც არიან ნ. გ. კუზნეცოვი — კრეისერის ყოფილი მეთაური, ამჟამად სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, შტურმანი ელისეევი — ამჟამად შავი ზღვის ფლოტის ესკადრის შტაბის უფროსი. ორივენი მთავრობის მიერ დაჯილდოებული არიან უმაღლესი ჯილდოთი — სსრ კავშირის ორდენებით. იმათ მაგალითზე იზრდებიან ასობით მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები. წითელფლოტელებიდან გაიზარდნენ და მეთაურები და პოლიტმუშაკები გახდნენ ამხანაგები: პუხოვი, კოვალენკო, ლვოვი, კაპუსტინი, კულინჩენკო და მრავალი სხვა, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის ყველა ზღვაში მძლავრი სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტის შესაქმნელად. ამ საზეიმო დღეს გარწმუნებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ჩვენთვის ჩაბარებული იარაღი საიმედო ხელშია. ჩვენ არც ჩვენს ძალღონეს დავზოგავთ და არც სიცოცხლეს იმისათვის, რომ მტრები მთლად გავანადგუროთ და მოვსპოთ ისინი მათსავე წყლებში. სიტყვას გაძლევთ, რომ კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს მივაღწევთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სსრ კავშირის მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის კადრების აღზრდაში. თქვენ მიერ მოცემული შეფასება კრეისერ „ჩერვონა უკრაინის" მუდმივი დროშა იქნება, რომელიც საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებს პირად შემადგენლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურების საუკეთესო მეგობარს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

კრეისერ „ჩერვონა უკრაინის" პირადი შემადგენლობის კრების დავალებით: კრეისერის მეთაური, მე-3 რანგის კაპიტანი ბუსლაევი, სამხედრო კომისარი, ბატალიონის კომისარი პოჩუპაილო.

სევასტოპოლი, 23 ივლისი (საკდესი).

# ვლადივოსტოკის ქალაქის საბჭოს საზეიმო პლენუმის მისალმება ამხანაგ სტალინს

ვლადივოსტოკის ქალაქის საბჭოს საზეიმო პლენუმი ქალაქის პარტიულ ორგანოებთან და მშრომელებთან ერთად, წყნარი ოკეანის ფლოტის წითელფლოტელებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან ერთად, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს თავის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდ მეგობარსა და მასწავლებელს, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მესაჭეს.

პრიმორიეს მშრომელნი, ისევე როგორც მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, უდიდესი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

გამარჯვებულ საბჭოთა ხალხს დღეს ბევრი რამ აქვს სასიხარულო და საამაყო. რუსეთის სამხედრო ფლოტის ისტორია, პეტრე პირველის დროიდან დღევანდლამდე, სავსეა ჩვენი სამშობლოს სადიდებლად გაწეული სახელოვანი გმირული ბრძოლებითა და საგმირო საქმეებით. ვერავინ ვერასოდეს ვერ შესძლო და ვერც შესძლებს გასტეხოს ან თუნდაც შეასუსტოს მამაცობა რუსი მეზღვაურებისა, რომლებიც თავიანთი სამშობლოსათვის იბრძოდნენ და იბრძვიან. მათ უკვდავი სახელი მოიხვეჭეს ჩესმასთან და ნავარინთან, სინოპთან და სევასტოპოლთან მომხდარ ბრძოლებში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში წითელმა მეზღვაურებმა, რომელთაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიეს ინტერვენტთა მძლავრ ფლოტებს. სოციალიზმის ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტი არა თუ ინახავს რუსეთის ფლოტის ამ სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, არამედ კიდევაც ამრავლებს მათ. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა წითელი მეზღვაურები, რომლებიც ზედმიწევნით ჰფლობენ გემების მძლავრ საბრძოლო ტექნიკას, მომავალ ბრძოლებში თავიანთი მშვენიერი სამშობლოსათვის, პარტიისათვის, დიდი მშობლიური ამხანაგი სტალინისათვის, თავიანთ გემებს გაუძღვებიან ბრძოლებში და მცირე მსხვერპლის გაღებით გაანადგურებენ მტერს მისსავე საკუთარ წყლებში. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი შეჰხარიან და ამაყობენ ჩვენი მძლავრი წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტით, რომელიც ორი სტალინური ხუთწლედის ქმნილებას წარმოადგენს.

ზღვისპირელებს წილად ჰხვდათ ერთერთი საპატიო ამოცანა—მაგარი სტალინური კლიტე დაადონ წყნარი ოკეანის საზღვაო საზღვრებს. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით და თქვენი უშუალო დახმარებით, ამხანაგო სტალინ, წყნარი ოკეანის ნაპირებზე მოკლე ხანში შექმნილია წყნარი ოკეანის მძლავრი ფლოტი.

პრიმორიეს მშრომელნი სიტყვას გაძლევენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ისინი მთელ თავის ძალღონეს გამოიყენებენ, რათა შეასრულონ მესამე ხუთწლედის გეგმა წყნარი ოკეანის ფლოტის ურყევი ძლიერების შემდგომი განმტკიცების დარგში. ჩვენს საბჭოთა პრიმორიეს გადავაქცევთ პროდუქტთა სიუხვის მხარედ, ლითონისა და ქვანახშირის მხარედ, აღმოსავლეთში სოციალიზმის მიუვალი ციხესიმაგრის მხარედ. იაპონელი სამურაები ვერასოდეს ვერ შემოვლენ ჩვენს საბჭოთა სანაპირო წყლებში. ჩვენ მზად ვართ ყოველ ჟამს, პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე, განვუმეოროთ იაპონელ სამურაებს ის გაკვეთილები, რომლებიც მათ ხასანის ტბასთან მომხდარ ბრძოლებში მიიღეს.

გაუმარჯოს სსრ კავშირის მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტს—საბჭოთა ხალხის ქმნილებას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას—წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინამძღოლსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფასს, საყვარელს, დიდ სტალინს!

(მიღებულია ვლადივოსტოკის ქალაქის საბჭოს საზეიმო პლენუმზე). (საკდესი).

# უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**კიევი**, 23 ივლისი (საკდესი). ორი დღის—22 და 23 ივლისს გასტანა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციაზე და მასობრივ თავდაცვითს მუშაობაზე. ამას გარდა, პლენუმმა მოისმინა უკრაინის სსრ მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და უკრაინის სსრ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ცნობა მოსავლის აღების მსვლელობის შესახებ, მოსავლიანობის განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ. განხილულია აგრეთვე ცნობა, თუ როგორ სრულდება ხუტორულ მეურნეობათა საკოლმეურნეო სოფლებში დასახლების გეგმა.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია ამხ. **დ. ს. კოროტჩენკო** უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნად. ამხ. **მ. ს. გრეჩუხა** არჩეულია უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

ყველა განხილულ საკითხზე პლენუმმა სათანადო გადაწყვეტილებანი მიიღო.

**1939 წ. 28 ივლისს, საღამოს 7 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში (კომინტერნის ქ. 5) შესდგება თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების**

## საქალაქო საბჭოს მორიგი პლენუმი

**დღის წესრიგი:**

**დამტკიცება ქალაქ თბილისის 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტისა და დამტკიცება ანგარიშისა 1938 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ.**

**თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები შემოვლიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები — მისაწვევი ბილეთებით, რომლებსაც გასცემს თბილისის საბჭო.**

**თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი**

# მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა მთელი საბჭოთა ხალხის სისხლხორცეული საქმეა

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის, ფლოტის მეორე რანგის ფლაგმანის ამხ. **ნ. გ. კუზნეცოვის** მოხსენება ქალაქ მოსკოვის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივის საზეიმო კრებაზე გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში 1939 წლის 24 ივლისს

ამხანაგო მუშებო და მუშა ქალებო, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, კულტურისა და მეცნიერების მუშაკებო! დღეს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩვენთვის ღირსშესანიშნავი დღესასწაულის დღეს, უწინარეს ყოვლისა სიყვარულისა და მხურვალე სალამის სიტყვებით მივმართავთ ჩვენს საუკეთესო მეგობარსა და ბელადს ამხანაგ **სტალინს. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელთა, მეთაურთა, კომისართა და პოლიტმუშაკთა სახელით, ფლოტის, რომელიც ჩვენი სამშობლოს საზღვრებს იცავს, მე საბრძოლო წითელფლოტურ სალამს ვუძღვნი ყველა აქ დამსწრეთ, მთელ საბჭოთა ხალხს, ჩვენს მთავრობას და მის მეთაურს—ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს. (ტაში).**

დღეს მთელი საბჭოთა კავშირი დღესასწაულობს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, რომელიც დაწესებულია პარტიისა და მთავრობის მიერ. ეს დღე ისტორიული თარიღია ჩვენი დიდი ფლოტის მშენებლობის საქმეში. ჩვენი დღესასწაული წარმოადგენს ფლოტისა და საბჭოთა ხალხის განუყრელი კავშირის მძლავრ დემონსტრაციას. ვრაზმავთ რა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღებას საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალთა მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად, ამით ჩვენ მოვიპოვებთ მთელი ქვეყნის კიდევ უფრო მეტ დახმარებას ფლოტის მშენებლობის საქმეში, უზრუნველვყოფთ ჩვენი საზღვაო ძალების კიდევ უფრო სწრაფ ზრდასა და განვითარებას.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი წარმოადგენს რა, ისე როგორც წითელი არმია, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა განუყრელ ნაწილს, სარგებლობს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მხურვალე და დამსახურებული სიყვარულით, როგორც სოციალისტური სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საიმედო დამცველი, რომელიც ჩვენი საზღვაო საზღვრების სადარაჯოზე სდგას. საბჭოთა ხალხი ყურადღებით ადევნებს თვალს ფლოტის ცხოვრებას, მის ბრძოლისუნარიანობას, მის ზრდასა და განვითარებას.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის შესახებ, მთლიანად გამომდინარეობს სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებიდან. იგი მიმართულია იქითკენ, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა ომის გამჩაღებელთა აგრესიული ზრახვებისაგან და მზად ვიყოთ ყოველ წუთს გავანადგუროთ ყოველგვარი მტერი, რომელიც გაჰბედავს დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი შრომა. სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის ყოველგვარი მუქარისაგან საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლევამოსილების ზრდა ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში.

ცნობილია, რომ ზოგიერთი, მეტისმეტად მოუსვენარი მეზობლებისათვის, ვთქვათ შორეულ აღმოსავლეთში, საჭიროა ერთგვარი გაკვეთილები ჩვენი შეიარაღებული ძალების მხრივ იმისათვის, რომ დავაჯეროთ და დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი საზღვრები ხელშეუხებელია და, რომ ჩვენ არავის მივცემთ მათი დარღვევის უფლებას. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირს დიდ მანძილზე აქვს საზღვაო საზღვრები: 65 ათასი კილომეტრი სახელმწიფო საზღვრიდან დაახლოებით 48 ათასი კილომეტრი საზღვაო საზღვარია. ამიტომ ქვეყნის თავდაცვის სისტემაში სამხედრო-საზღვაო ფლოტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამხანაგმა მოლოტოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე სთქვა: „ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა დიდია, რომ მას აკრავს ზღვები ძალიან დიდ მანძილზე და ეს მუდამ მოგვაგონებს იმას, რომ ჩვენ უნდა გვყავდეს მტკიცე ძლიერი ფლოტი. ამასვე მოგვაგონებენ ჩვენ კაპიტალისტური სახელმწიფოები იმით, რომ უკანასკნელ წლებში მათ უზარმაზარი სამხედრო-საზღვაო მშენებლობა გაშალეს".

ჩვენი სოციალისტური მრეწველობა უკვე იმდენად განმტკიცდა, რომ შესწევს უნარი აშენოს თანამედროვე გემები, როგორც მცირე, ისე დიდი, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან დიდი საზღვაო სახელმწიფოების გემებს. ასეთ გემებს ჩვენ უკვე ვიღებთ ფლოტის შესაიარაღებლად და წლითი-წლობით სულ უფრო მეტი რაოდენობით მივიღებთ.

საბჭოთა კავშირი საზღვაო სახელმწიფოა. საბჭოთა სამხედრო - საზღვაო ფლოტი ძლიერი ფლოტი ხდება. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის დაწესება ხელს შეუწყობს ამ გიგანტური ამოცანის წარმატებით გადაჭრას. კიდევ უფრო უნდა გაიშალოს მშრომელთა ფართო მასების მობილიზაცია მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხების გარშემო, მის წინაშე დასახული ყველა ამოცანის გარშემო.

სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღე კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოვებს მშრომელებს ფლოტის ცხოვრებასთან და მუშაობასთან, მის საუკეთესო ადამიანებთან. დღეს ჩვენი ფლოტი გვიჩვენებს თავის ზრდას, თავის ძლიერებასა და ძალას. კიდევ უფრო განმტკიცდება ფლოტის კავშირი საბჭოთა ხალხთან.

დღეს ზღვებში, ჩვენს ბაზებში, ჩვენ ვუჩვენებთ სახაზო გემებს, კრეისერებს, ნაღმოსნებსა და წყალქვეშა ნავებს, ჩვენს ახალ შესანიშნავ საბრძოლო ტექნიკას, რომელიც აშენებულია საბჭოთა ქარხნებში საბჭოთა ადამიანების მიერ. ჩვენი გემთმშენებლები, რომლებიც თავდაცვის მრეწველობის მუშაკთა პირველ რიგებში სდგანან, კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მძლავრი საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული მაღალხარისხოვანი საბრძოლო გემების შექმნისათვის, გააძლიერებენ ბრძოლას საბრძოლო გემების აშენების ვადების შემცირებისათვის. ჩვენმა დღესასწაულმა გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის საყოველთაო აღმავლობა. მას ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ სოციალისტური მშენებლობის სულ სხვადასხვა უბნებზე. ჩვენი ქვეყნის მიერ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის საქმეში დასახული ამოცანები გრანდიოზულია. ეს ციხე-სიმაგრე ბოლშევიკებმა უნდა აიღონ და, უეჭველია, აიღებენ კიდეც.

დიდი ამოცანებია დასახული აგრეთვე ფლოტის პირადი შემადგენლობის წინაშე. სამოქალაქო ომის წლებში ფლოტს მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს. შექმნილ გარემოებათა გამო ფლოტმა დაჰკარგა თავისი გემების უმრავლესობა. გემების პირადი შემადგენლობა, რევოლუციური მეზღვაურები სამოქალაქო ომის სახმელეთო ფრონტებზე იბრძოდნენ. დარჩენილი გემების მცირე რაოდენობა მამაცურად იცავდა ახალგაზრდა რესპუბლიკას და მას არაერთხელ გაუმართავს უთანასწორო ბრძოლა ინტერვენტთა გემებისათვის.

ჩვენი ბოლშევიკური პარტიის X ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება: „...საბჭოთა რესპუბლიკის საერთო მდგომარეობისა და მატერიალური რესურსების შესაბამისად, მიღებულ იქნას ზომები წითელი სამხედრო ფლოტის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის..." ხოლო ცოტა უფრო გვიან სრულიად-რუსეთის საბჭოების IX ყრილობამ აგრეთვე საჭიროდ სცნო ჩვენი საზღვაო ფლოტის განმტკიცება სოციალისტური სამშობლოს საზღვაო საზღვრების დასაცავად. და ამ დროიდან იწყებს ფლოტი აღორძინებას. ხდება ჩვენი ძველი გემების—სახაზო გემების, კრეისერებისა და ნაღმოსნების აღდგენა. იწყება წითელ მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და წითელფლოტელთა მომზადება.

მეფის რუსეთს არ ჰქონდა განვითარებული გემთმშენებლობა, გემების უმრავლესობას უცხოეთის ფირმები აშენებდნენ. ჩვენს ახალგაზრდა გემთმშენებლობის მრეწველობას, რომელიც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის მძიმე შედეგებს განიცდიდა, არ შეეძლო იმ დროს გაეძლიერებინა ახალი დიდი გემების მშენებლობა. მაშინ ჩვენ იძულებული ვიყავით დავკმაყოფილებულიყავით ცალკეული გაუმჯობესებებით, არსებული გემების მოდერნიზაციით.

ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და განმტკიცების მიხედვით გემთმშენებლები შეუდგნენ ახალი გემების, ჯერ მცირე გემების (წყალქვეშა ნავების, სატორპედო კატარღებისა და სადარაჯო გემების) მშენებლობას. მხოლოდ ორი სტალინური ხუთწლედის გამარჯვებათა საფუძველზე გადავედით ჩვენ უფრო დიდი გემების-ნაღმოსნების, ლიდერებისა და კრეისერების გამოშვებაზე და ამავე დროს ვემზადებოდით კიდევ უფრო დიდი გემების ასაშენებლად. ახლა გემთმშენებლობის მრეწველობა წლითი-წლობით იძლევა სულ უფროდაუფრო მეტ გემებს ჩვენი ფლოტების შესავსებად.

ახლა ჩვენ უკვე გვაქვს ოთხი ფლოტი და რამდენიმე ფლოტილია. ეს არის ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტი, რომელიც გვიცავს ჩვენ საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთის საზღვაო საზღვრებზე; წყნარი ოკეანის ფლოტი—ჩვენი საზღვრების დასაცავად შორეულ აღმოსავლეთში; შავი ზღვის ფლოტი, რომელიც იცავს ჩვენი სამხრეთის, უკრაინის, კავკასიისა და ყირიმის საზღვაო საზღვრებს, და სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ძლიერი ჩრდილოეთის ფლოტი, რომელიც გვიცავს ჩვენ ჩრდილოეთში შესაძლო თავდასხმისაგან. ჩვენ აგრეთვე შევქმენით ფლოტილიები კასპიის ზღვაში, ამურსა და დნეპრზე.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტი—ის ფლოტია, რომლის აღდგენასაც პარტიის X ყრილობის და სრულიად-რუსეთის საბჭოების IX ყრილობის შემდეგ ჩვენ უწინარეს ყოვლისა მოვკიდეთ ხელი. ჩვენ უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ ბალტიის ზღვაში შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში. ბალტიის ფლოტს ყოველ წლობით ემატება და მომავალშიც შეემატება ახალი წყალზედა და წყალქვეშა გემები. მის უკანასკნელ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა 50-ზე მეტი საბრძოლო გემი, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი როდია.

შავი ზღვის ფლოტმა განვითარება უფრო გვიან იწყო. პირველი საბრძოლო გემები, როგორც, მაგალითად, კრეისერი „ჩერვონა უკრაინა" და ნაღმოსნები 1926-1927 წლებში შევიდნენ მწყობრში. ახლა კი აქ ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება გამოვყოთ საბრძოლო გემების ნაწილი იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ეს გემები სასწავლო გემებად და შევცვალოთ ისინი საჭირო რაოდენობის თანამედროვე გემებით.

წყნარი ოკეანის ფლოტი წარმოადგენს მთლიანად ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზრდის მკაფიო მაჩვენებელს. პირველი საბრძოლო გემი შორეულ აღმოსავლეთში მხოლოდ ხუთი-ექვსი წლის წინათ გაჩნდა. ეს იყო პირველი წყალქვეშა ნავი. დღეს კი წყნარი ოკეანის ფლოტის წყალქვეშა და წყალზედა გემების რიცხვმა უკვე ას ერთეულს გადააჭარბა. მე არ ვთვლი ფლოტის წვრილ ერთეულებს, როგორიცაა სატორპედო კატარღები. **(ტაში).**

დიახ, ამხანაგებო, შორეულ აღმოსავლეთში ჩვენ ასზე მეტი საბრძოლო გემი გვაქვს.

წყნარი ოკეანის ფლოტი, მეზობლის საგანგებო მოუსვენარი ხასიათის გამო, განსაკუთრებით ფხიზელი უნდა იყოს და სავსებით მზად იყოს სამშობლოს დასაცავად.

ჩრდილოეთის ფლოტი, კაცმა რომ სთქვას, კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება, ვიდრე წყნარი ოკეანის ფლოტი; იგი პირდაპირ ჩვენს თვალწინ ხდება დიდი ბრძოლისუნარიანი ფლოტი.

აგრეთვე იზრდება ჩვენი ფლოტილიების ძალები ასპარეზის მნიშვნელობის მიხედვით.

ამხანაგებო, როდესაც ფლოტზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ მისი უმნიშვნელოვანესი ორგანიული ნაწილი—ჩვენი სახელოვანი საზღვაო ავიაცია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ტიპის საზღვაო და სახმელეთო თვითმფრინავებს, და ჩვენი მტკიცე სანაპირო თავდაცვა, რომელიც თავის ამოცანებს საბრძოლო გემებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით სწყვეტს.

როგორც ხედავთ, ზღვაზე ჩვენ უკვე მცირე ძალას როდი წარმოვადგენთ, და თუ ამჟამად სამხედრო-საზღვაო მშენებლობის გაშლილი პროგრამის განხორციელებას შევუდექით, საკითხი ეხება ისეთი დიდი და მძლავრი ფლოტის შექმნას, რომელიც შესაფერისი იქნება საბჭოთა კავშირისა, როგორც დიდი საზღვაო სახელმწიფოსი. **(ტაში).**

ამჟამად მოქმედი ფლოტის მშენებლობამ ცოტა ძალა როდი მოითხოვა საბჭოთა ხალხის, მთავრობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მხრივ **(ტაში)**, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ მისი ზრდისა და განვითარებისათვის. მრავალი წლის განმავლობაში ფლოტს განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი **(ტაში).**

ლენინური კომკავშირი, ახორციელებდა რა ფლოტზე შეფობას 15-ზე მეტი წლის განმავლობაში, მუდმივ დახმარებას უწევდა მას, აძლევდა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასსა და საყვარელს—ადამიანებს, ჩინებულ წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებიც ამჟამად შეგვიძლიათ ნახოთ სულ სხვადასხვა პოსტებზე, თვით ფლოტების სარდლებადაც კი.

ბურჟუაზიული მჯღაბნელები ამ უკანასკნელ დროს ინტერესს იჩენენ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალებისადმი, ყოველგვარ ჭორებს სთხზავენ ჩვენი ფლოტის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, ცდილობენ ომის ფაშისტ გამჩაღებლების საამებლად დაამცირონ ჩვენი ფლოტის ძალა.

ყოვლად უაზრო ხმებს ავრცელებენ, ვთქვათ, ჩვენი წყალქვეშა ნავების შესახებ.

ჭორების თავიდან ასაცილებლად მე უნდა განვაცხადო აქ, რომ საბჭოთა კავშირს წყალქვეშა ნავები რაოდენობით მეტი ჰყავს, ვიდრე რომელიც გნებავთ სხვა ქვეყანას მსოფლიოში. **(ტაში).** კიდევ მეტი, მე უნდა განვაცხადო, რომ წყალქვეშა ნავები ჩვენ გაცილებით მეტი გვყავს, ვიდრე თვით გერმანიასა და იაპონიას, ერთად აღებულთ. **(ტაში).** წყალქვეშა ნავებზე ჩვენ გვყავს ჩვენი სამშობლოს, პარტიისა და ამხანაგ სტალინის უსაზღვროდ ერთგული, კარგად მომზადებული კადრები, რომლებიც მზად არიან შეასრულონ საბრძოლო ამოცანები ისეთივე გმირობითა და ცოდნით, როგორითაც ასრულებენ ჩვენი მფრინავები და ტანკისტები, ჩვენი არტილერისტები და ქვეითნი. ამაში შეიძლება ეჭვი არ შევვიდოდეს! საბჭოთა კავშირის გმირები წყალქვეშოსნები ბურმისტროვი და ეგიპკო ამის დამამტკიცებელნი არიან.

როგორც ხედავთ, ცოტა როდია გაკეთებული. მაგრამ სწორი არ იქნებოდა განგვეცხადებინა ამჟამად, რომ ყველა ან თუნდაც მთავარი ამოცანები უკვე გადაჭრილია. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ არ გვესმის თუ რა არის დიდი ფლოტი მისი იმ შემადგენლობით, რომლითაც იგი წარმოდგენილი აქვთ ხოლმე. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენ თავს ვარიდებთ იმ დიდი, რთული და ძნელი საკითხების გადაჭრას, რომლებსაც ჩვენ კიდევ შევხვდებით, რომელთა გადასაწყვეტად ჩვენ გვრაზმავს მთავრობა და პარტია. ეს მომასწავებელი იქნებოდა თავისი თავის დემობილიზებისა და „ვანცხრომისა", როდესაც ჯერ საკმარისი არ არის გაკეთებული, როდესაც ჯერ დიდი ფლოტის მშენებლობის დასაწყისში ვიმყოფებით. ცოტა სიძნელეები როდი მოგველის კიდევ, მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ყოველივე, რაც საჭიროა, რათა მათი არ გვეშინოდეს და დარწმუნებული ვართ, რომ მათ დავძლევთ. ამისი საწინდარია ყოველდღიური ხელმძღვანელობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, პირადად ამხანაგ სტალინისა **(ტაში)** და ჩვენი მთავრობისა ამხანაგ მოლოტოვის მეთაურობით. **(ტაში).**

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი სამხედრო საბჭოს წევრად ჩვენ გვყავს ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლი—პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი **(ტაში)**, რომლის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ფლოტის მშენებლობის საქმეში მტკიცედ ვგრძნობთ არა მარტო ჩვენ, მეზღვაურები, არამედ ჩვენი გემთმშენებელნიც.

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის საწინდარია წითელფლოტელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჩვენი ჩინებული კადრები. ამისი საწინდარია მთელი საბჭოთა ხალხის დახმარება.

როდესაც ჩვენს გემებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევჩერდეთ წითელფლოტელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჩვენს კადრებზე. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ტექნიკა უადამიანებოდ მკვდარია, რომ ტექნიკას საიმედო ხელში შეუძლია სასწაულები მოახდინოს.

ფლოტი, რომელიც უაღრესად თანამედროვე ტექნიკას წარმოადგენს და რომელსაც უაღრესად რთული ხელსაწყოები აქვს, მაღალკვალიფიციურ, ზედმიწევნით ორგანიზებულ და უთუოდ დისციპლინირებულ პირად შემადგენლობას მოითხოვს. ასეთი კადრები ჩვენ უკვე გვყავს. ჩვენი წითელფლოტელები უკვე სავსებით დაეუფლნენ გემთა მექანიზმებს. ჩვენი მეთაურები წარმატებით ეუფლებიან მათთვის ჩაბარებულ იარაღს და იუმჯობესებენ ცოდნას, რათა ტაქტიკურად სწორად გამოიყენონ იგი.

პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა შედეგად ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ ჩვენი ზევადიანების—ფლოტის სპეციალისტთა ამ ოქროს ფონდის ფლოტზე მიმაგრების გზით ფლოტში კვალიფიციურ სპეციალისტთა მყარი კადრები შევქმნათ. ყველა ეს კადრი უსაზღვროდ ერთგულია ჩვენი საქმისა და მზადაა ყოველ მომენტში გამოვიდეს სამშობლოს დასაცავად. ჩვენი ქვეყანა ფლოტში სამსახურისათვის გვაძლევს ჩინებულ ახალგაზრდას, კულტურულ, ტექნიკურად მცოდნე კადრებს, რომელთაც შესწევთ უნარი სავსებით დასძლიონ გემთა ტექნიკა. ჩვენ ათასობით განცხადებას ვიღებთ სამხედრო-საზღვაო ფლოტში ნებაყოფლობით შესვლის შესახებ, ჩვენ ვხედავთ უდიდეს ლტოლვას ჩვენი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებისაკენ, რომლებიც ამზადებენ ფლოტის სამეთაურო და პოლიტიკურ კადრებს.

ჩვენი მეთაურთა კადრებისა და რიგითი შემადგენლობის მომზადების საქმის გაუმჯობესება და მასთან ფლოტის პირადი შემადგენლობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს კიდევ უკეთესი სპეციალისტები ვიყოლიოთ. ფლოტში ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება დიდი სპეციალისტები, ერთგული მუშაკები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ათეული წლები ფლოტს შესწირეს, და, ვიხელმძღვანელებთ რა ამხანაგ სტალინის მითითებით, მათს გამოცდილებასა და საქმის ცოდნას შევახამებთ ჩვენი ახალგაზრდა მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მუშაობასთან.

ძლევამოსილი სტალინური ხუთწლედების შედეგად საბჭოთა კავშირი მოწინავე ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. ამ საფუძველზე შესაძლებელი გახდა განხორციელება ჩვენი მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანისა—ვაშენოთ ყველაზე დიდი და თანამედროვე გემები, ისეთი ძლიერი ფლოტის შექმნის ამოცანისა, რომელიც ჩვენ იმისათვის გვესაჭიროება, რომ საიმედოდ დავიცვათ საზღვაო საზღვრები.

მძლავრი ფლოტის შექმნა ნიშნავს: არა მარტო ავაშენოთ მრავალი გემი, არამედ უზრუნველვყოთ, რათა ეს გემები არა მარტო არ ჩამოუვარდებოდნენ ძირითადი ტაქტიკურ - ტექნიკური ელემენტების მხრივ (სისწრაფე, ნაოსნობის რაიონი, სროლის სიძლიერე და შეჯავშნა) საუკეთესო გემებს მსოფლიოში, არამედ სჭარბობდნენ კიდეც მოსალოდნელ მოწინააღმდეგეთა გემებს. ძლიერი ფლოტის ყოლა ნიშნავს: გვყავდეს საჭირო რაოდენობისა და მაღალი ხარისხის ყველა კლასის გემები, დაწყებული მცირე გემებით და გათავებული გიგანტებით—სახაზო გემებით.

გემთმშენებლობის მრეწველობის მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგნენ ამ დიდ, საპატიო მუშაობას და ჩვენ უკვე ვიღებთ გემებს, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან მოწინავე ფლოტების საუკეთესო გემებს. ჩვენს წყალქვეშა ნავებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავისი საუცხოო საბრძოლო თვისებანი. ნაღმოსნები და ლიდერები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ, უდიდესი ქების ღირსნი არიან, პირადი შემადგენლობა მათზე საუცხოო აზრისაა. მწყობრში შესული კრეისერები და ის კრეისერები, რომლებიც მწყობრში ახლა შედიან, თავისი არცერთი ელემენტის მხრივ არ ჩამოუვარდებიან საზღვარგარეთის ფლოტების ამგვარსავე კრეისერებს.

ასეთი გემების ყოლა ჩვენს წინაშე, მეზღვაურების წინაშე, აყენებს მათი საუკეთესოდ გამოყენების საკითხს. პირადი შემადგენლობის მომზადება და სახომალდო სამსახურის ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს ამ მაღალ ტექნიკას. უპირატესობა ტექნიკისა და მისი გამოყენების უნარის მხრივ იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ მტერი მცირე მსხვერპლის გაღებით დავამარცხოთ.

ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი მძლავრი სამხედრო საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობა მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა. დიდი ფლოტის მშენებლობაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი ჩვენი ქვეყანა! უკვე ახლაც ასობით ქარხნებში მზადდება გემებისათვის სხვადასხვა ხელსაწყოები და მექანიზმები. დიდი ქარხნებით დაწყებული წვრილ კუსტარულ სახელოსნოებამდე ჩვენი მრეწველობა მონაწილეობას იღებს ფლოტის შექმნაში.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ჩვენ მოვუწოდებთ მშრომელებს გააორკეცონ თავისი ძალები ფლოტის წარმატებითი მშენებლობისათვის. წარმოადგენს რა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა განუყრელ ნაწილს, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შემდეგშიც გაუმჯობესდება და გააძლიერებს თავის ბრძოლისუნარიანობას.

ჩვენი ფლოტი, რომელიც ახლა არავის არ ემუქრება და ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებას, ყველაზე ძლიერ თავდამსხმელ ფლოტად გადაიქცევა თუ მტრები გვაიძულებენ მივმართოთ შეიარაღებულ ძალას ჩვენი სამშობლოს დასაცავად.

მთელი საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელობით, ჩვენი პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ვაშენებთ და კიდევაც ავაშენებთ მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტს! **(ტაში).**

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს! **(ტაში).**

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, „ინტერნაციონალი").**

25 ივლისის „პრავდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

## კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

### 21 ივლისის საღამოს სხდომა

### დეპუტატ მ. ი. ბარამიას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ შემოტანილია ამ სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, უდავოდ წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის არაჩვეულებრივ ზრდას უკანასკნელი წლების განმავლობაში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში სტალინური ხუთწლედების მანძილზე შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ორდენოსანი საქართველოს განუყრელმა ნაწილმა—საბჭოთა აჭარამ, რასაც ხელს უწყობდა მისი ბიუჯეტის ყოველწლიური მნიშვნელოვანი ზრდა.

პირველი სტალინური ხუთწლედის პირმშოს აჭარაში წარმოადგენს ბათუმის ნავთსახდელი ქარხნები, რომელმაც მოიპოვა უფლება სასახელოდ ატაროს დიდი სტალინის სახელი. უკანასკნელ წლებში აშენდა: ამხ. ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც ამზადებს მანქანებს ჩაის ფაბრიკებისათვის და ამარაგებს საქ. ჩაის ფაბრიკებს მოწყობილობით. ამ ქარხანამ აითვისა და ამზადებს რთულ მანქანებს შამპანური ღვინოების დასამზადებლად, ბერიას სახ. ქარხანამ უკვე მოამარაგა შამპანურის მანქანებით ოდესის კომბინატი და ახლა უნდა მოამარაგოს შამპანური ღვინოების თბილისის კომბინატი.

აშენდა ჩაქვისა და ბათუმის ახალი ჩაის ფაბრიკები. ამჟამად აჭარაში სულ 7 ჩაის ფაბრიკა მუშაობს. აშენდა ტუნგოს გადასამუშავებელი ქარხანა, კოფეინის ქარხანა (პირველი საბჭოთა კავშირში), ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკები და სხვ.

1921 წ. აჭარის საწარმოთა პროდუქციის ღირებულება ძლივს აღწევდა 1.700.000 მან. 1938 წელს მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1921 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 90-ჯერ.

აჭარის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა საქ. რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციაში 1923 წ. შეადგენდა მხოლოდ 1,9%, ხოლო მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის იგი გაიზარდა 26%-დე.

ჯანმრთელობის საქმისათვის 1938 წელს დაიხარჯა 8.830.000 მან., ანუ 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1933 წ. მიმდინარე წელს ამ საქმეზე დაიხარჯება 13 მილიონზე მეტი. კაპიტალური მშენებლობისათვის ჯანმრთელობის ხაზით პირველ ხუთწლედში დაიხარჯა 800.000 მან., მეორეში—5.472.000 მან.

განსაკუთრებით დიდია მიღწევები კულტურის ფრონტზე. დაწყებითი და საშუალო სკოლების რიცხვი გადიდდა 600%-ით. მოსწავლეთა რიცხვი 1933 წ. შედარებით გაიზარდა 19.000-ით. ამჟამად აჭარის სკოლებში 35.500 მოსწავლეა, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი გადიდდა 800 კაციდან 2.600-მდე 1933 წ. შედარებით. განხორციელებულია სავალდებულო სწავლება 7-წლედის ფარგლებში. წინათ აჭარაში მხოლოდ 2 საშუალო სასწავლებელი იყო, ამჟამად კი 85 საშუალო სკოლაა და ერთი უმაღლესი სასწავლებელი.

აჭარის განსახკომის ბიუჯეტი 1932 წ. 4.300.000 მან. შეადგენდა, ხოლო მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ეს ბიუჯეტი გაიზარდა 4-ჯერ და მიაღწია 18 მილიონ მანეთამდე. 1939 წლ. ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს განათლების საქმეზე აჭარაში 22.845.000 მან.

წინათ აჭარას სულ არ ჰქონდა თეატრი, კინო, ამჟამად ქ. ბათუმში მუშაობს აჭარის სახელმწიფო თეატრი და 2 კინო-თეატრი; ყველა რაიონს აქვს კლუბები და კინო-დანადგარები.

ბათუმში შენდება ახალი თეატრი 1.000 ადგილით, რომლისთვისაც უკვე მიმდინარე წელს დაიხარჯება 1 მილიონი მანეთი.

ორდენოსან საქართველოსთან ერთად, საბჭოთა აჭარამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობის ხაზითაც, კოლმეურნეობათა მშენებლობისა და მათი განმტკიცების დარგშიც, ჩაის, ციტრუსების და სხვა ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

ამჟამად აჭარის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაშენებულია: ჩაი—5.300 ჰექტარზე მეტი; ციტრუსები — 3.000 ჰექტარამდე. საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. თუ 1933 წლ. აჭარის ყველა კოლმეურნეობათა შემოსავალი 3 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, 1938 წლ. მიაღწია 30 მილიონ მანეთამდე. არიან მილიონერი კოლმეურნეობები—ვოროშილოვის სახ., მოლოტოვის სახ., „წითელი ოქტომბერი“ და სხვ. და მათი რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

ვხელმძღვანელობთ რა ამხანაგ **ბერიას** მითითებებით ევკალიპტების მნიშვნელობის შესახებ, მიმდინარე წლის ჩვენ ვაშენებთ 600.000 ძირზე მეტ ევკალიპტს, ორჯერ მეტს, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული, ხოლო მომავალ წელს გავაშენებთ ევკალიპტის კულტურას ერთ მილიონ ძირზე მეტს.

წელს აჭარის მშრომელებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 10 მილიონ კილოგრამამდე ჩაის მწვანე ფოთოლი, 300 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსების ნაყოფი: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი—რესპუბლიკური გეგმის 70%-მდე. ამ გეგმების შესრულება კიდევ უფრო გაადიდებს კოლმეურნეობათა შემოსავალს და ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომ სწრაფ ზრდას.

ყველაფერი ეს ჩვენ მოვიპოვეთ იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანას ხელმძღვანელობს და მართავს ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი, კაცობრიობის გენია—საყვარელი დიდი **სტალინი. (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

საბჭოთა აჭარა ამჟამად წარმოადგენს საქართველოს ერთერთ უმშვენიერეს კუთხეს, ჩაის, ტუნგოს, ევკალიპტების, ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ბაღს—და ეს იმის შედეგად, რომ ამ საქმეს მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მებრძოლი ბოლშევიკი, დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი, ქართველი ხალხის სიამაყე ამხანაგი **ლ. პ. ბერია (ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის ბიუჯეტი, რომელიც შემოტანილია ამ სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, სავსებით შეეფარდება იმ ამოცანებს, რომელიც დასმულია ჩვენი ქვეყნის წინაშე დიდი **სტალინის** მიერ. ეს ბიუჯეტი გამოხატავს საქართველოს ყველა რაიონების, ოლქის და ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა ინტერესებს, უზრუნველჰყოფს მათს შემდგომ წინსვლას კომუნიზმის ბრწყინვალე გზაზე.

მე სავსებით ვუერთდები წინათ გამოსული დეპუტატების აზრს იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი, იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომელიც საბიუჯეტო კომისიამ შემოიტანა, მოწონებულ და მიღებულ იქნეს.

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ხალხთა საყვარელ ბელადს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ გ. ა. ალავიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით, ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ გრანდიოზული გამარჯვებანი მოიპოვა.

ჭეშმარიტად გრანდიოზულია ორდენოსანი საქართველოს მიღწევები სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ორი სტალინური ხუთწლედის განხორციელების შედეგად 400.000-ზე მეტი წვრილი, დაქუცმაცებული კერძო მეურნეობის ნაცვლად დღეს საქართველოში არის 4233 კოლმეურნეობა, რომელიც მთელი გლეხური მეურნეობის 85% აერთიანებს.

კოლმეურნეობანი უკვე ძირითად მწარმოებლებს წარმოადგენენ ისეთ ძვირფას ტექნიკურ კულტურების დარგში, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ვენახი, თამბაქო, შაქრის ჭარხალი, არახისი და აგრეთვე მარცვლეული კულტურები. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ჩაის პლანტაციებს მხოლოდ ათას ჰექტარამდე მიწა ეკავა, დღეს მისი ფართობი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში 46.156 ჰექტარს აღემატება; ციტრუსების პლანტაციებმა, ნაცვლად 400 ჰექტარისა 1923 წელს, მიმდინარე წელს 16.027 ჰექტარს გადააჭარბა; მარტო ტუნგო, მრეწველობისათვის ეს მეტად ძვირფასი კულტურა, ამ უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე 15.800 ჰექტარი გაშენდა; 1930 წელს ამ კულტურას მხოლოდ ერთი ჰექტარი ფართობი ეკავა. უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში გავრცელდა ევკალიპტის უძვირფასესი კულტურა, რომლის რაოდენობა 7.613.000 ნარგავს აღემატება. დიდად გავრცელდა აგრეთვე საბჭოთა პარფიუმერიისათვის მეტად მნიშვნელოვანი გერანის კულტურა: მისი ფართობი 1652 ჰექტარს უდრის. ამ უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში—ბორჩალოს, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში—გერანის კულტურა წარმატებით ვრცელდება.

საკავშირო მთავრობისა და პარტიის ც. კ-ის ცნობილი დადგენილების შედეგად მევენახეობის განვითარება მტკიცე აღმავლობის გზაზე სდგას. უკანასკნელი 2½ წლის განმავლობაში მარტო კოლმეურნეობებში 5.000 ჰექტარი ახალი ვენახია გაშენებული, მათ შორის 460 ჰექტარი ძვირფასი შამპანური ჯიშებია.

საგრძნობლად იზრდება სოციალისტური მეცხოველეობა როგორც ხარისხობრივ, ისე სულადობის რაოდენობის მხრივ. 1939 წლის 1-ლ იანვრისათვის, გასული წლის დასაწყისთან შედარებით, მეცხოველეობა გაიზარდა: ცხენის რაოდენობა—13,4%, მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა—7,5%, ცხვარი და თხა — 9,6%, ღორი 3,7%. მიღწევანი და გამარჯვებანი შედეგია იმ მზრუნველობისა და ყურადღებისა, რასაც გვიწევს საყვარელი ბელადი, ჩვენი მშობლიური **სტალინი (ხანგრძლივი ტაში).** საბჭოთა სახელმწიფო დიდ ფინანსიურ დახმარებას უწევს ჩვენს სოფლის მეურნეობას. ამის მკაფიო გამოხატულებას ჩვენ ვხედავთ თქვენს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სს რესპუბლიკის 1939 წლ. ბიუჯეტში.

მიმდინარე წელს აღნიშნული ბიუჯეტით მიწათმოქმედების კომისარიატის ქვემდებარე უწყებებსა და წარმოებებში, სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების ჩათვლით, გათვალისწინებულია 59.555.7 ათასი მანეთი, გასულ წელს კი გაღებული იყო 51.804 ათასი მანეთი—გადიდება უდრის 7. 751.7 ათას მანეთს.

საკავშირო ბიუჯეტით საქართველოს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაზე მიმდინარე წელს გაღებულია 50.361.9 ათასი მანეთი, ამრიგად, სულ რესპუბლიკის ადგილობრივი და საკავშირო ბიუჯეტით ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებულია 123 მილიონი და 181 ათასი მანეთი.

დღეს საბჭოთა საქართველოში არსებობს 54 მტს, რომელიც ტრაქტორებით და სხვა სახის რთული მანქანა-იარაღებით საწარმოო დახმარებას უწევს საქართველოს 1750 კოლმეურნეობას. კოლმეურნეობათა მინდვრებში მიმდინარე წელს მუშაობს მტს-ების 2.366 ტრაქტორი, 450 კომბაინი, 520 ცალი სალეწი მანქანა და მრავალი სხვა დიდი სას. სამ. იარაღი.

თვალსაჩინოდ იზრდება კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა. მარტო ფულადი სახით 1938 წელს იგი შეადგენდა 356.280 ათას მანეთს, ხოლო 1939 წელს გათვალისწინებულია—505.285 ათასი მანეთის რაოდენობით.

შრომადღეებზე კოლმეურნეთა შორის 1937 წელს ფულად განაწილებულია 2-20 კაპ., 1938 წ. 2-38 კაპ. და 1939 წელს განაწილდება 2-57 კაპ.

ყოველწლიურად იზრდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი: 1937 წელს იყო 11, ხოლო 1938 წელს 19-მდე ავიდა.

კოლმეურნეობების შემოსავლის სწრაფი ზრდის საფუძველზე ამაღლდა კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების დონე. საქართველოს კოლმეურნეობებმა 1939 წლის პირველ ნახევრის სას. სამ. სამუშაოები ძირითადად დაწესებულ ვადებში და დამაკმაყოფილებელი ხარისხით შეასრულეს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს 27 მაისის ისტორიულმა დადგენილებამ „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“—უკვე მოგვცა თვალსაჩინო გარდატეხა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დაფინანსება გათვალისწინებულია 59.555.700 მანეთის რაოდენობით, აღნიშნული თანხა ცალკე დარგებსა და ღონისძიებებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: კადრების მომზადება — 25.452.200 მანეთი; სასოფლო სამეურნეო საკვლევო დაწესებულებებისათვის — 3.930.200 მანეთი; დასახლება — 2.073.800 მანეთი; სას. სამ. გამოფენა—839 ათასი მანეთი; მიწათმოწყობა—1.497.000 მანეთი; ვეტერინარია-ეპიზოტია—4.273.900 მან.; მესაქონლეობა—1.985.200 მან.; სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა—2.114.400 მან.; წყალთა მეურნეობა—8.167.100 მან. და სხვ.

მტს-ების სატრაქტორო პარკი მიმდინარე წელს შეივსება 110 ცალი სტზ-ნატის სისტემის ტრაქტორით, 80 ცალი კომბაინით, 80 ცალი სალეწი მანქანით, 500-ზე მეტი ცალი სატრაქტორო გუთნით და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი სას. სამ. მანქანა-იარაღებით.

საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტით მიმდინარე წელს კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საჭიროებისათვის გაღებულია 10 მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ და დიდმა სტალინმა გრანდიოზული ამოცანები დაგვისახეს სოფლის მეურნეობის დარგში. საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ენერგიულად იბრძვიან ამ საბრძოლო დავალებათა შესრულებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს ა/წ 27 მაისის დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ და პარტიისა და მთავრობის 8 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ წარმოადგენენ ბოლშევიკურ პროგრამას სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის. საჭიროა ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და დიდი **სტალინის** მითითებათა განუხრელი განხორციელებით ჩვენ უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობათა შემდგომს სამეურნეო-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას.

ჩვენი გამარჯვების საწინდარი ის არის, რომ საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი სოციალიზმის საქმისათვის გამოზარდა და განამტკიცა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** უერთგულესმა და უნიჭიერესმა მოწაფემ ამხ. ლავრენტი **ბერიამ.**

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს ლავრენტი **ბერიას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ ა. თ. კვაჭაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ბოლშევიკური პარტიის ისტორიულმა XVIII ყრილობამ შეაჯამა სოციალიზმის გრანდიოზული გამარჯვებები და დაამტკიცა მე-3 სტალინური ხუთწლედის პროგრამა—სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამა.

ჩვენი რესპუბლიკის 1939 წლის ფინანსიური პროგრამა მთლიანად უპასუხებს იმ ამოცანებს, რომელიც დასახულია ქვეყნის წინაშე მე-3 ხუთწლიანი გეგმით, ამოცანებს, რომელიც დასახა თავის ისტორიულ მოხსენებაში XVIII პარტიულ ყრილობაზე დიდმა მასწავლებელმა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.**

ამხანაგო დეპუტატებო!

სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად სწრაფად იზრდება და ვითარდება ქალაქი თბილისი. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ამხ. **ლ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით თბილისის მშრომელნი დიდი წარმატებით ანხორციელებენ მათ წინაშე დასმულ ამოცანას — თბილისის გადაქცევის შესახებ ორდენოსანი საქართველოს სანიმუშო დედაქალაქად.

მეორე ხუთწლედის დამლევისას თბილისის მრეწველობის პროდუქციამ 250 მილ. მანეთს მიაღწია და ომამდე არსებულ პროდუქციას 25-ჯერ გადააჭარბა.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში თბილისში აგებულია ისეთი მსხვილი, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე შეიარაღებული საწარმოები, როგორიცაა ცენტროლიტი, კიროვის სახ. მანქანათმშენებლობის ქარხანა, მაუდის ფაბრიკა, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა, სატრიკოტაჟო კომბინატი, მარგარინის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და მრავალი სხვ.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ქალაქის კომუნალურ მეურნეობაში დაბანდებულია 219 მილ. მანეთი; რეკონსტრუირებულია კომუნალური მეურნეობის ყველა დარგი. მოსახლეობამ მიიღო ნატახტარის სუფთა წყალი.

ქალაქში გაყვანილია წყალსადენის ახალი ქსელი 206 კილომეტრის მანძილზე. ქალაქისათვის წყლის მიწოდება გასამკეცებულია პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით. მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია წყალსადენის ქსელის გაფართოება 66 კილომეტრით. აგებული იქნება 12 ახალი რეზერვუარი 83 ათ. კუბ. მეტ. ტევადობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ქალაქს წყლის ერთი დღის მარაგით.

ქალაქის მოსახლეობის რიცხვისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა სწრაფი ზრდის გამო, 1941-42 წ. წ. ნატახტარის წყალსადენის სიმძლავრე არასაკმაო იქნება, ამისათვის მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია ავჭალის ძველი წყალსადენის აღდგენა მრეწველობისათვის წყლის მიწოდების მიზნით. მთლიანად წყალსადენის ქსელის გაფართოება-გაძლიერებისათვის მესამე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულია 25 მილ. მანეთის დაბანდება. ქალაქის კანალიზაციის ქსელი ამჟამად 196 კილომეტრს აღწევს. აგებულია ახალი ნიაღვართ-ამქცევები. მესამე ხუთწლედში კანალიზაციის ქსელი გაფართოებული იქნება 35 კილომეტრით, რაზედაც გათვალისწინებულია 10 მილ. მანეთის დაბანდება.

მესამე ხუთწლედში ტრამვაის მეურნეობაზე დაიხარჯება 19 მილ. მან. შეძენილი იქნება 164 ახალი ვაგონი; აქედან — 89 მოტორიანი და 75 მისაბმელი.

მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია ტრამვაის ვაგონების შემკეთებელი დიდი ქარხნის აგება, რაზედაც დაბანდებული იქნება 9 მილ. მან. გაყვანილი იქნება ახალი ხაზები 14 კილომეტრის სიგრძით, დანარჩენი თანხები კი დაიხარჯება სატრანსფორმატორო სადგურების მშენებლობაზე და საკაბელო ქსელის რეკონსტრუქციაზე.



ამჟამად ექსპლოატაციაში იმყოფება 34 ტროლეიბუსი. მესამე ხუთწლედში შეძენილი იქნება 38 ახალი ტროლეიბუსი, გაყვანილი იქნება ახალი ხაზები 8,5 კილომეტრის მანძილზე, გაფართოვდება ტროლეიბუსების გარაჟი და სხვ.

მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია 85 ახალი ავტობუსის და 170 ტაქსის შეძენა. აშენდება ახალი დიდი გარაჟი, სახელოსნოები 2 მილ. მანეთის ღირებულებისა.

დიდი ნაბიჯებია გადადგმული ქალაქის გამწვანების დარგში: მეორე ხუთწლედის დასათავრებისას გამწვანებულია ქალაქის ტერიტორია 226 ჰექტარის რაოდენობით. აგებულია კომკავშირელთა ხეივანი, ფუნიკულორზე გაშენებულია ამხანაგ **სტალინის** სახელობის პარკი 12 ჰექტ. ფართობით, გამწვანებულია რკინიგზის სადგურის მოედანი, გაშენებულია ამხ. კიროვის სახ. ახალი პარკი, გაფართოებული და კეთილმოწყობილია ამხ. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი, გაშენებულია ახალი პარკები ლენინისა და კიროვის რაიონში.

საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯება 10 მილ. მანეთი, მოასფალტებული იქნება 240 ათასი კუბ. მეტრი ქუჩები და ტროტუარები.

საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება. ქალაქი ამჟამად ასჯერ მეტ ელექტროენერგიას ხარჯავს, ვიდრე საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს.

მესამე ხუთწლედში მარტო თბილისის ქალაქის საბჭოს ხაზით საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 27 მილ. მანეთი, ნაცვლად მეორე ხუთწლედში დაბანდებული 14 მილ. მანეთისა.

მესამე ხუთწლედში, გარდა უკვე ექსპლოატაციაში გადაცემული ახალი სანიმუშო სასტუმრო „თბილისისა“, გათვალისწინებულია სასტუმროს მშენებლობა 26 კომუნარის სახ. რაიონში.

დიდი წარმატებებია მიღწეული სახალხო განათლების დარგში. ამჟამად ქალაქის 105 საშუალო და არასრულ საშუალო სკოლაში სწავლობს 80 ათასზე მეტი მოსწავლე.

მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია 22 საშუალო სკოლის შენობის აგება. აქედან 1938 წელს უკვე აშენდა 4 სკოლა, 3 სკოლა მთავრდება მიმდინარე წელს. აგებული იქნება 25 ახალი საბავშვო ბაღის შენობა. გათვალისწინებულია ყრუ-მუნჯთა სკოლის, საბავშვო ბიბლიოთეკის შენობების აგება და სხვ.

სულ სახალხო განათლების ხაზით კაპიტალურ მშენებლობაზე მარტო თბილისის საბჭოს მიერ დაბანდებული იქნება 35 მილ. მანეთი, ნაცვლად 22 მილ. მანეთისა მეორე ხუთწლედში.

ქალაქის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად დიდად გაიზარდა ჯანმრთელობის ბიუჯეტი, რომელმაც 1938 წელს 44 მილ. მანეთს მიაღწია. მესამე ხუთწლედში ჯანმრთელობის ხაზით კაპიტალურ მშენებლობაზე გათვალისწინებულია 15 მილ. მან. დაბანდება, — თითქმის იმდენის, რაც დაბანდებული იყო პირველ ორ ხუთწლედში.

მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის შეუდარებელმა ზრდამ თვალსაჩინო გამოხატულება ჰპოვა საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების გაფართოებაში. 1930 წელს საქონელბრუნვა 132 მილ მანეთს უდრიდა; 1937 წლ. კი საქონელბრუნვამ 893 მილ. მანეთს მიაღწია. მესამე ხუთწლედის ბოლო წლისათვის გათვალისწინებულია საქონელბრუნვის გაზრდა 1.305 მილ. მანეთამდე.

დიდად გაიზარდა თბილისის საბჭოს ბიუჯეტი. 1930 წელს ქალაქის ბიუჯეტი 19.750 ათას მანეთს შეადგენდა, 1938 წელს კი იგი 178.372 ათას მანეთამდე გაიზარდა.

ეჭვს გარეშეა, რომ აქ წარმოდგენილი ბიუჯეტი შესრულდება და ამით უზრუნველყოფილი იქნება მესამე ხუთწლედის მეორე წლის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება.

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს და მასწავლებელს, დიდ **სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ ბ. ვ. გოგუას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ უდიდეს კულტურულ ზრდაზე, რომელსაც ჩვენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მზრუნველობითა და დახმარებით ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მივაღწიეთ, და იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე 1939 წელში და ასახულია განსახილველად წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, განსაკუთრებით სტალინური ხუთწლედების განმავლობაში გაიფურჩქნა და აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა ხელოვნება.

თუ წინათ საქართველოში ითვლიდნენ 5 თეატრს, ამჟამად საქართველოში გვაქვს 48 თეატრი, რომელსაც აფინანსებს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოს თეატრებში აღიზარდა და შემოქმედებით მუშაობას ეწევა 1491 მსახიობი, 209 რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთა ხელფასის ფონდი 1937 წელს 7.256.000 მანეთს უდრიდა, ხოლო 1938 წელს 7.410.000 მან. უდრის.

საქართველოში 58 მუსიკალური სასწავლებელი და სკოლაა. გვაქვს კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია, რომელშიაც სწავლობს 14.938 კაცი.

აღდგენილ იქნა ხალხური შემოქმედების ცალკეული დარგები. უკვე შექმნილია ისეთი ნიმუშები, რომელნიც მოწმობენ ხალხური შემოქმედების ნამდვილ აყვავებას. შეიქმნა ხალხური სიმღერები სამშობლოს სიყვარულსა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაზე, სტახანოვურ მოძრაობასა და ბედნიერ ცხოვრებაზე, შექმნილია უჩვეულო ძალის სიმღერები ხალხთა საყვარელ ბელადებზე **ლენინსა და სტალინზე.**

ქართველი ხალხი განსაკუთრებული გრძნობით, სიყვარულით უმღერის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას,** რომელმაც უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში ბოლშევიკური ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველო მოძმე რესპუბლიკების მოწინავე რიგებში ჩააყენა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპოვა ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ თავისი ადგილი და განვითარება. მოსკოვში ჩატარებულ ქართული ხელოვნების დეკადაზე წარმოდგენილი იყო 20 ახალგაზრდა კომპოზიტორის ნაწარმოებები, როგორც დიდი, ისე მცირე ფორმისა.

შექმნილია მდიდარი, მრავალფეროვანი ნაციონალური საოპერო რეპერტუარი: ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს საბჭოთა თემატიკაზე აგებული ახალი ოპერების შესაქმნელად.

თუ წინათ, მეფისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში, თითოოროლა ქართველი მხატვარი გვყავდა, ახლა, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად, უკვე არსებობს საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი, რომელიც აერთიანებს 123 მხატვარსა და მოქანდაკეს.

მიმდინარე წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს თეატრების რაოდენობის ზრდას. 1939 წელს უნდა დაარსდეს თეატრები ზესტაფონში, წულუკიძეში, ონში და გორში. ჩვენს წინაშე დგას საპატიო ამოცანა — დიდი სტალინის სამშობლო ქალაქში შევქმნათ ისეთი თეატრი, რომ იგი სანიმუშო და მოწინავე იყოს საბჭოთა კავშირის თეატრებს შორის.

ამჟამად მიმდინარეობს ქუთაისისა და ბათუმის თეატრების მშენებლობა. წელს ექსპლოატაციაში შევა სახელმწიფო ცირკი, კონსერვატორიასთან არსებული საკონცერტო დარბაზი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთის და აჭარის, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის ზრდა ხელოვნების განვითარებისათვის. დღეს ამ რესპუბლიკებში შექმნილია ნაციონალური თეატრები, იშლება და იფურჩქნება ხალხური შემოქმედება, გახსნილია მუსიკალური და სახვითი ხელოვნების სკოლები, გაიზარდა ადგილობრივი კადრები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტ. რესპუბლიკების, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი ხელოვნების დარგში უდრიდა 1937 წელს 4.874.100 მან., 1938 წელს — 5.737.800 მანეთს, 1939 წელს უდრის 7.401.700 მანეთს.

ხელოვნების დარგისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა 45.562.000 მანეთის რაოდენობით. შარშანდელთან შედარებით ეს საგრძნობ ზრდას წარმოადგენს და გამოხატავს ჩვენი ხელოვნების შემდგომ აღმავლობას, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხელისუფლების ზრუნვას ხელოვნებისათვის. ხელოვნების ყველა დარგის მუშაკები განსაკუთრებული ენტუზიაზმით განაგრძობენ შემოქმედებით მუშაობას თეატრის, მხატვრობისა და მუსიკის დარგში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით არის მოპოვებული ჩვენი უდიდესი წარმატებანი.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სიამაყეს, კულტურისა და ხელოვნების უდიდეს მეგობარს, სახელოვან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ **ლ. ბერიას (ტაში).**

გაუმარჯოს ბრძენ **სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

### 22 ივლისის დილის სხდომა

### დეპუტატ ს. ს. ქსოვრელის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! XVIII პარტყრილობაზე ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა** შეაჯამა სსრ კავშირში სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი გზები.

საბჭოთა ბიუჯეტი, საბჭოთა მანეთი, იყო და რჩება მძლავრ იარაღად კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ ბიუჯეტის მაგალითზე ნათლად ჩანს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო საქალაქო ტრანსპორტის და კერძოდ ტრამვაის მეურნეობის დაფინანსებას.

პირველ ხუთწლედის ბოლოს ტრამვაის მეურნეობას ჰქონდა მხოლოდ ვიწრო ლიანდაგის 178 ვაგონი და ვიწრო ლიანდაგის 70 კილომეტრიანი ხაზი. აღნიშნული ვაგონებიდან ხაზზე ფაქტიურად მუშაობდა 131 ვაგონი, სულ გადაყვანილ იქნა 112,5 მილიონი მგზავრი, რის შედეგადაც მივიღეთ 15,5 მილიონი მანეთი შემოსავალი.

ტრამვაის ხაზისა და ტრამვაის ვაგონების რეკონსტრუქციასთან ერთად მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს ქალაქ თბილისს შეემატა ახალი სახის ელექტრო-ტრანსპორტი ტროლეიბუსის სახით. ტროლეიბუსით 1937 წელს გადაყვანილ იქნა 2,7 მილიონი მგზავრი.

მესამე ხუთწლედის ბოლოს ტრამვაისა და ტროლეიბუსების მეურნეობას ეყოლება ექსპლოატაციაში ტრამვაის 311 ვაგონი და ტროლეიბუსის 36 მანქანა. 1942 წელს ტრამვაითა და ტროლეიბუსით გადაყვანილი იქნება 240,7 მილიონი მგზავრი, რის შედეგადაც მივიღებთ 38,3 მილიონი მანეთის შემოსავალს.

მესამე ხუთწლედში ვაგონებისა და მანქანების ზრდა ხაზზე პირველ ხუთწლედთან შედარებით გათვალისწინებულია 138 პროცენტით. ხოლო მეორე ხუთწლედთან შედარებით—99 პროცენტით.

მესამე ხუთწლედში დასახული ამოცანებით გათვალისწინებულია ახალი ხაზების გაყვანა, ტრამვაის —14,1 კილომეტრი, ტროლეიბუსების—8,3 კილომეტრი, ძველი ხაზების რეკონსტრუქცია—4 კილომეტრზე, აგრეთვე გათვალისწინებულია ტრამვაის ვაგონების სარემონტო ქარხნის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 9,3 მილიონ მანეთს.

ბრძოლა საბჭოთა ბიუჯეტის შესრულებისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. ბოლშევიკური ენტუზიაზმით უნდა მოჰკიდოს მას ხელი ყველა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა მუშაკმა.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს საქართველოს ხალხის ერთგულ შვილს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

# საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

## კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

### დეპუტატ ღ. ა. რუხაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! დიდად გაიზარდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი.

პირველ სტალინურ ხუთწლედამდე საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში ითვლებოდა საწარმოთა უმნიშვნელო რაოდენობა პრიმიტიული გაცვეთილი მოწყობილობით, 3.000 მუშით და მისი წარმოების საერთო მოცულობა 10,5 მილიონ მანეთს უდრიდა.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ 11-ჯერ გაადიდა პროდუქციის გამოშვება, ხოლო მუშათა რიცხვი ერთიოთხად გაიზარდა.

აშენებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია: ორი პარკსახვევი ფაბრიკა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, თბილისის მაუდის ფაბრიკა, ფეხსაცმლის ორი და ტანსაცმელის 7 სამკერვალო ფაბრიკა, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ტყავისა და ფეხსაცმლის ძველი ფაბრიკები, მესამე ხუთწლედის დამდეგისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულია ტყავის ახალი ქარხანა ბათუმში.

აბრეშუმის ძაფის გამოშვება 78 ტონიდან (1927-28 წლებში) ავიდა 245 ტონამდე (1937 წელს), ხოლო მესამე ხუთწლედის დამლევისათვის გამოშვებული იქნება 372 ტონა.

აბრეშუმის ქსოვილის წარმოება 1927/28 წლების 60 ათასი მეტრიდან 1937 წელს 4.330 ათას მეტრამდე გაიზარდა.

მატყლის ქსოვილის წარმოება 1927/28 წლების 120 ათასი მეტრიდან 1937 წელს 1.618 ათას მეტრამდე გადიდდა, ხოლო მესამე ხუთწლედის დამლევისათვის აყვანილი იქნება ორ მილიონზე მეტ მეტრამდე.

სამკერვალო ნაწარმის გამოშვება 1927-28 წლების ერთი მილიონი მანეთიდან გაიზარდა 36 მილიონ მანეთამდე 1937 წელს, ხოლო 1942 წელს სამკერვალო მრეწველობა გამოუშვებს 50 მილიონი მანეთის პროდუქციას.

მესამე ხუთწლედში მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის კაპიტალური მშენებლობისათვის დაბანდებული იქნება 77 მილიონი მანეთი, ნაცვლად მეორე ხუთწლედში დაბანდებული 39,5 მილიონ მანეთისა, ზრდა უდრის 92%-ს.

პარტიის XVIII ყრილობამ ამოცანად დაგვისახა 1,7-ჯერ გავადიდოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოება მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა შემოსავლის ზრდის შესაბამისად. ამ დიდი ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა პროდუქციის მოცულობა მესამე ხუთწლედის დამლევისათვის განზრახულია ავიყვანოთ 183 მილიონ მანეთამდე, 1926-27 წლების უცვლელ ფასებში, ნაცვლად 113 მილიონი მანეთისა 1937 წელს, ზრდა უდრის 62,5%.

1939 წელს—მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წელს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა გამოუშვებს 136 მილიონი მანეთის პროდუქციას 1926/27 წლების უცვლელ ფასებში, რაც 1938 წელთან შედარებით იძლევა ზრდას 16%-ით. მუშათა რიცხვი გაიზრდება 4,5%, შრომის ნაყოფიერება 10,8%-ით, ამასთან მუშათა ხელფასის ფონდი გაიზრდება 10%-ით, პროდუქციის თვითღირებულება, 1938 წ. დონესთან შედარებით, შემცირდება 0,9%-ით.

1939 წ. საფინანსო გეგმით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოო დაგროვება 47,8 მილიონ მანეთს შეადგენს.

1939 წლის გეგმით საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ ბიუჯეტს უნდა მისცეს 43,1 მილიონი მანეთი, აქედან მოგების ანარიცხები უნდა შეადგენდნენ 37 მილიონ მანეთს, ნაცვლად 24,8 მილიონი მანეთისა 1938 წელს.

მოკლედ შევჩერდები მსუბუქი მრეწველობის 1939 წლის პირველი ნახევარი წლის მუშაობის შედეგებზე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის და მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ პირველი კვარტალის გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა — 101,7%-ით. ჩვენმა ქვეყანამ გეგმის ზევით მიიღო 1.142 ათ. მანეთის ფართო მოხმარების პროდუქცია.

პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. ეს კი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სისტემაში შემავალ საწარმოთა მუშაკებს ავალებს მიიღონ ყველა საჭირო ზომები, რომ ბოლშევიკური მუშაობით დავდგეთ საბჭოთა კავშირის საუკეთესო საწარმოთა რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელსა და საყვარელ მამას დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი მხურვალე ტაში, დეპუტატები ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ ს. მ. დონაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შემოტანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დასამტკიცებლად მკაფიოდ ასახავს იმ უდიდეს გამარჯვებებს, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში განუხრელად გატარების შედეგად.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის არაჩვეულებრივმა ზრდამ მიიყვანა ჩვენი ხალხი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის უჩვეულო აღმავლობამდე. ამ კეთილდღეობის ზრდის ერთერთი მკაფიო მაჩვენებელთაგანი არის სწრაფად მზარდი საქონელბრუნვა. თუ 1933 წელს საქართველოს სსრ საქონელბრუნვა და საზოგადო კვების საწარმოთა ბრუნვა 1055 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1938 წელს მან მიაღწია 2.731 მილიონ მანეთს.

1939 წლის მარტო პირველ ნახევარში საქართველოს სსრ საქონელბრუნვა შეადგენს 1.544 მილიონ მანეთს, ხოლო მთელი 1939 წლის საქონელბრუნვა, რომელიც 3.150 მილიონი მანეთით გამოიხატება, სამჯერ გადააჭარბებს 1933 წლის საქონელბრუნვას.

საქონლის ბრუნვა სოფლად 1938 წელს 1933 წელთან შედარებით 3,5 ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

1939 წლის 1-ლ ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა 1.457 მილიონი მანეთის ოდენობით შესრულებულია 105,9 %-ით. ამ მხრივ საქართველოს მეოთხე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. ივლისის 1-ლი დეკადის მაჩვენებლებით კი მეორე ადგილი.

საქართველოს სსრ სახვაჭრობათა მუშაობაში დიდ გარდატეხას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით მე-2 კვარტალში. მე-2 კვარტალის გეგმა სავაჭრობებმა 1,9%-ის გადაჭარბებით შეასრულეს. დაფარეს 1-ლი კვარტალის გარღვევა და შეასრულეს წლის 1-ლი ნახევრის გეგმა.

1939 წლის 1-ლ ნახევარში პურფუნთუშის ნაკეთობათა გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შესრულდა.

უდიდესი შესაძლებლობა აქვთ სავაჭრო ორგანიზაციებს საქონელბრუნვაში დამატებითი, განსაკუთრებით ადგილობრივი, რესურსების ჩასართავად. ამ საკითხის გადაჭრაში მთავარ როლს თამაშობს თვით სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკების ინიციატივა.

ჩვენ უდიდესი შესაძლებლობა მოგვეპოვება ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის გასაფართოებლად, მაგრამ ეს შესაძლებლობანი ჩვენ მთლიანად ვერა გვაქვს გამოყენებული. განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებს.

საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ვაწარმოოთ წუნის წინააღმდეგ, გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ასორტიმენტისათვის.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები სამრეწველო საქონლის სრული 100 პროცენტით შემოწმებისა და წუნდების ჩატარების შესახებ. მესამე კვარტალმა უნდა მოგვცეს ძირითადი გარდატეხა ამ საქმეში.

თქვენ იცით, ამხანაგო დეპუტატებო, რომ საქართველო ითვლება ჯანმრთელობის დაცვის სრულიად-საკავშირო კერად. ამისათვის საკურორტო ვაჭრობის გაშლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს კურორტებზე? საქართველოსა და აფხაზეთის „კურორტვაჭრობებმა“, რომელნიც ემსახურებიან უმთავრესად საკავშირო მნიშვნელობის კურორტებს, თავიანთი ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ საკურორტო დაწესებულებათა მომარაგებაზე მე-2 კვარტალში გავლენა მოახდინა სახსრების უქონლობამ. ამის გამო სანატორიუმებმა და დასასვენებელმა სახლებმა საქონელი ვერ გამოისყიდეს კურორტვაჭრობისაგან და დასახელებულ დაწესებულებათა მომარაგების გეგმა ვერ შესრულდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სათანადო სახსრებით უზრუნველსაყოფად.

საგრძნობლად გაუმჯობესდება წელს ხილბოსტნეულით ვაჭრობა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ქალაქ თბილისში ხილბოსტნეულით ვაჭრობის მოსაწყობად და გასაფართოებლად მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაარსებულია სპეციალიზებული „თბილხაგოტპლოდოოვოშტორგი“.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ კარგად იცით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია და ხელისუფლება სოფლად საქონელბრუნვის გაფართოების საქმეს. 1938 წელს ჩატარდა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაცია.

სპეციალური დადგენილებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ სახკომსაბჭომ უზრუნველჰყვეს განსაკუთრებული პირობები სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გასაშლელად. ეს დადგენილება უზრუნველჰყოფს ყველა შესაძლებლობას სამომხმარებლო კოოპერაციის სოფლად მუშაობის საფუძვლიან გარდაქმნისათვის.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, ამ დადგენილების საფუძველზე 1939 წლის პირველი ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ტრესტის წინაშე სდგას ამოცანა — კიდევ უფრო გააფართოვოს სასკოლო კვება და დახურული ტიპის სასადილოები. ამ პირობებში დაგროვების გეგმა ტრესტისათვის არ შეიძლება დაწესდეს სამი პროცენტის რაოდენობით, არამედ უნდა შემცირდეს ორ პროცენტამდე.

პარტია და ხელისუფლება, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი ვაჭრობის მუშაკებს. ის საწარმოო აღმავლობა, სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები და მათ შორის საქართველოს სავაჭრო დარგის მუშაკებიც, გვინერგავს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენ შევძლებთ შევასრულოთ პარტიისა და ხელისუფლების, პირადად დიდი **სტალინის** მიერ დასახული საბრძოლო ამოცანები. **(ტაში).**

### დეპუტატ კ. დ. ერისთავის სიტყვა

ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

თქვენს წინაშე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილია დასამტკიცებლად საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წ. ბიუჯეტი. იგი მაჩვენებელია იმ გიგანტური წინსვლელობისა, რომლითაც ხასიათდება ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფო.

ეს ბიუჯეტი აშენებულია იმ გენიალურ პერსპექტივებზე, რომელიც დასახა ჩვენმა დიდმა **სტალინმა** საკ. კ. პ. (ბ) ისტორიულ XVIII ყრილობაზე.

ამხანაგო დეპუტატებო! არ არის და არც იქნება ძალა დედამიწის ზურგზე, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ. ამის თავდებია ის მიღწევები, რომელიც ახასიათებს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს და კერძოდ ორდენოსან საქართველოს. ამის თავდებია სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი და საბჭოთა მანეთის ის სიმტკიცე, რომელიც დღეს ყველასათვის ცხადია.

დღეს საქართველო ამაყობს თავისი წარმოებებით. მას აქვს ელექტრონის, მანქანათმშენებლობის, ფეროს სადნობი, მადნეულის, მეტალურგიის, ნავთის, აბრეშუმის, ჩაის, საქსოვი და სხვა ქარხნები. დღეს საქართველოში 21 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სწავლობს 22 ათას სტუდენტზე მეტი.

ამხანაგო დეპუტატებო! მე შევჩერდები ჯანმრთელობის დარგის მიღწევებზე და იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც საჭიროა დაუყოვნებლივ გამოსწორდეს. ჯანმრთელობის საკითხებზე ოქტომბრის რევოლუციამდე არავინ არ ზრუნავდა არც სოფლებში და არც ქალაქებში.

თუ თავს დავანებებთ შორეულ წარსულს და ავიღებთ 1937 წელს, დავინახავთ, რომ ჯანმრთელობის ბიუჯეტი, მედგანათლების ჩათვლით, 157 მილიონ მანეთს უდრიდა. წელს კი, მე-3 ხუთწლედის მე-2 წელში, როდესაც საერთოდ საქართველოს ბიუჯეტი უდრის 1.156.207 ათას მანეთს, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ბიუჯეტი მედგანათლებით უდრის 200 მილიონ მანეთზე მეტს.

1939 წელს კადრების მომზადებაზე იხარჯება 42.561 მანეთი, მაშინ როდესაც 1937 წელში დაიხარჯა 22.450 მანეთი. როგორც ვხედავთ, ერთი წლის განმავლობაში კადრების მომზადების თანხამ თითქმის ორჯერ იმატა.

დღეისათვის მარტო საქართველოს სსრ ჯანსახკომის სისტემაში 4 უმაღლესი და 15 საშუალო სასწავლებელია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს ჰყავს 99 პროფესორი და დოცენტი და 166 ასისტენტი. ამ უკანასკნელთა შორის ბევრია მედიცინის დოქტორი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კადრმა დაუღალავი და დაუზარებელი მუშაობით, ქართველი ხალხის საამაყო შვილის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** დახმარებით და მზრუნველობით ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტი საბჭოთა ინსტიტუტების მოწინავე რიგებში ჩააყენა. ინსტიტუტმა წელს გამოუშვა 381 სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდა ექიმი, რომლებიც მზად არიან თავდადებით ემსახურონ ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ სამშობლოს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ყველა სოფელი უზრუნველყოფილია ექიმ-სპეციალისტებით, მაგალითად —ქირურგებით, თვალის, ყელ-ყურის ექიმებით, მეან-გინეკოლოგებით და სხვ. საჭიროა მომზადებული ექიმები, რომლებიც ხანგრძლივად მუშაობენ ქალაქის სამკურნალო დაწესებულებებში, გაიგზავნონ სოფლად.

მეორე, რასაც ჯანსახკომმა და საკურორტო სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, ეს არის ჩვენი კურორტები. კურორტები ძალიან დიდ როლს თამაშობენ მშრომელთა მომსახურების საქმეში.

ჩვენს კურორტებს თუ შემოივლით, იქ უსათუოდ ბევრ ნაკლს ნახავთ, რომლებზედაც დეტალურად შეჩერება მე შორს წამიყვანდა. ჯანსახკომის კურორტთა სამმართველომ უნდა გარდაჰქმნას მუშაობა.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

გაუმარჯოს ჩვენს სიამაყეს, ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ კ. ვ. მორევის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებებისა და მიღწევების საფუძველს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა წარმოადგენდა.

ორი ხუთწლედის განმავლობაში თბილისის კომუნალურ მეურნეობაში დაბანდებულია 219 მილიონი მანეთი. გადაჭიმულია ახალი სანაპირო ქუჩა, რომელიც ატარებს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** სახელს და აშენებულია **ლ. პ. ბერიას** მითითებებითა და უშუალო ხელმძღვანელობით. ფუნიკულორის პლატოზე გაშენდა ამხანაგ სტალინის სახელობის პარკი, ვერის ყოფილ სასაფლაოზე გაშენებულია კიროვის სახელობის პარკი, ახალი პარკები გაშენდა ლენინის, კიროვის და სხვა რაიონებში.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს საბინაო მშენებლობის დარგში. მარტო მეორე ხუთწლედის განმავლობაში თბილისის საბინაო მშენებლობაში დაბანდებულია 97 მილიონი მანეთი. ქალაქის მშრომელებმა მიიღეს 227 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით აშენდა **მარქს-ენგელს-ლენინის** ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მონუმენტური შენობა, რომელიც ქალაქ თბილისის ნამდვილი დამამშვენებელია.

დიდი საამშენებლო სამუშაოები სწარმოებს საბურთალოს რაიონში.

ჩემი თხოვნაა თბილისის საბჭოს და ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს ბიუჯეტებში გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე სახსრები საბურთალოს რაიონის ქუჩების გამწვანებისა და ტროტუარების მოასფალტებისათვის.

საამშენებლო ტრესტმა „თბილმშენმა“, რომელიც ანხორციელებს მშენებლობას ქალაქ თბილისში, 1938 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმა შეასრულა 29 მილიონი მანეთის მოცულობით. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 4 ახალი სკოლა, სამშობიარო სახლი კამოს ქუჩაზე, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, საცხოვრებელი სახლები შაუმიანისა და სკოლის ქუჩებზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობა და სხვ. ობიექტები.

1939 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმა შეადგენს იმავე ციფრს, რაც 1938 წელს იყო. მიმდინარე წელს უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ კინოთეატრი „რუსთაველი“, საბჭოთა კავშირში ერთერთი საუკეთესო სასტუმრო „თბილისი“, ასბინიანი საცხოვრებელი კომბინატი, საცხოვრებელი სახლები ფალიაშვილის ქუჩაზე, სამი საბავშვო ბაღი და სხვა ობიექტები.

ამხანაგო დეპუტატებო! მესამე სტალინური ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად წინ წასწევს ჩვენს ქვეყანას იმ გზით, რომელიც პარტიის XVIII ყრილობაზე მიგვითითა ამხანაგმა **სტალინმა**.

მე წინადადება შემომაქვს: დამტკიცდეს საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებებით.

დაე, ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს მძლავრი საბჭოთა კავშირი!

გაიზარდოს და გაიფურჩქნოს მტრების თავზარდასაცემად მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ ჩვენი ორდენოსანი საქართველო. **(ტაში).**

გაუმარჯოს ამხანაგ **ბერიას**, რომელმაც ქართველი ხალხი აღზარდა დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას და მის ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ ა. ი. მგელაძის სიტყვა

ამხანაგებო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოწონებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს II სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოადგენს ისეთ დოკუმენტს, რომელიც გამომდინარეობს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან და იმ ამოცანებიდან, რომლებიც ამ ყრილობაზე გაკეთებულ თავის გენიალურ მოხსენებაში დაგვისახა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა **სტალინმა.**

ციფრობრივი ცნობები გასულ წელთან შედარებით რესპუბლიკური ბიუჯეტის ზრდისა და იმის შესახებ, თუ რა თანხები იქნება გაღებული 1939 წელს ადგილობრივი, რესპუბლიკური ხასიათის მრეწველობის დასაფინანსებლად, მოცემულია დეპუტატის—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ციმაკურიძის მოხსენებაში.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო საქართველოს სსრ ნავთის მრეწველობის განვითარებაზე.

1939 წელს მთავრობამ იმ სამუშაოთა დასაფინანსებლად, რომლებსაც ტრესტი „საქნავთი“ ატარებს, 1938 წელს გაღებული 15 მილიონი მანეთის ნაცვლად გაიღო 28.829 ათასი მანეთი. როგორც ხედავთ, თანხები თითქმის ერთიორად იქნა გადიდებული.

ბურღვის გეგმა 1939 წლისათვის დამტკიცებულია 42.599 მეტრის რაოდენობით, ნაცვლად 30 ათასი მეტრისა გასულ წელს.

1939 წლისათვის ნავთის მოპოვების გეგმა, გასული წლის 12.500 ტონის ნაცვლად, დამტკიცებულია 40.100 ტონის რაოდენობით.

1939 წლის პირველ ნახევარში გეგმის შესრულება, 1938 წლის პირველ ნახევართან შედარებით, გაიზარდა: ბურღვის მხრივ 276,7 %-ით და ნავთის მოპოვების მხრივ —129,4%-ით.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 1939 წლის ნახევარი წლის გეგმის შესრულებას დააკლდა: ბურღვის დარგში—3,4% და ნავთის მოპოვების დარგში — 44,4%.

ამის მთავარი მიზეზია სათანადო დამხმარე შინა-სარეწაო მეურნეობის უქონლობა, განსაკუთრებით სუფსა-ომფარეთისა და ნორიო-მარტყოფის ნავთის საბადოების კვლევითს სამუშაოებზე.

სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხანაგმა **ლ. მ. კაგანოვიჩმა** თავის ა.-წ. 14 მაისის № 93 ბრძანებაში საქართველოს სსრ ნავთის მრეწველობის განვითარების შესახებ გამოავლინა ყველა ის ნაკლი და მიზეზი, რომლებიც ხელს უშლიან ნავთის მრეწველობის შემდგომ, კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას საბჭოთა საქართველოში.

ამხანაგმა კაგანოვიჩმა საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებს დაუსახა საბრძოლო ამოცანა — ნავთის სადღეღამისო ამოღება 1940 წლის დამლევისათვის აიყვანონ 1000 ტონამდე.

ამ ამოცანის განხორციელების უზრუნველსაყოფად სახალხო კომისარმა დაავალა სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებს, როგორიცაა: „აზნეფტეპროკატი“, „აზნეფტემონტაჟსტროი“, „აზნეფტედობიჩა“ და სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მომარაგების მთავარი სამმართველო, ჩაატარონ მთელი რიგი სამუშაოები მშენებლობის დაპროექტებისა და ნავთის მოწყობილობისა და მასალების მომარაგების დარგში.

მაგრამ ჩამოთვლილი ორგანიზაციები არასაკმაო ენერგიულობით მოეკიდნენ სახალხო კომისრის ბრძანების შესრულებას.

საჭირო შეიქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური ჩარევა ამ საქმეში, რათა ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციები შემობრუნებულიყვნენ „საქნავთისაკენ“.

ეჭვს გარეშეა, რომ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, იმ უდიდესი დახმარებით, რომელსაც საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებს უწევენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო, პირადად სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი** და საქართველოს სსრ ნავთის მრეწველობის განვითარების ინიციატორი **ლ. პ. ბერია,** საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკები წარმატებით და ბოლშევიკურად გადასჭრიან მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

საქართველოს მიწის წიაღი მდიდარია ნავთით. საბჭოთა საქართველოში ნავთი ბევრია, მაგრამ უნდა შევძლოთ მისი ამოღება მიწის წიაღიდან. გეოლოგიური ცნობების თანახმად, ნავთის მარაგი დაახლოებით ნახევარ მილიარდ ტონას უდრის. სულ საქართველოში რეგისტრირებულია ნავთისა და გაზის გამოვლინების 700-მდე პუნქტი. ეს ცნობები მოწმობენ, რომ ნავთი მოიპოვება არა მარტო თბილისის, ლანჩხუთის და წითელწყაროს რაიონებში, არამედ მახარაძის. ბაღდათის, ხარაგოულის, ქუთაისის, ონის, ამბროლაურის, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ჯავის, ლენინგორის, კასპის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს და მანგლისის რაიონებშიაც.

მაგრამ ამჟამად ტრესტმა საქნავთმა მთელი თავისი მუშაობის სიმძიმე გადაიტანა მირზაანში, პატარა შირაქში, სუფსა-ომფარეთში და ნორიო - მარტყოფში. ჩვენ უკვე გვაქვს ერთი საექსპლოატაციო სარეწაო—მირზაანის სარეწაო.

სუფსა-ომფარეთის ახალ რაიონებსა და ნორიო-მარტყოფში გათხრილმა ჭაბურღილებმა გვიჩვენეს, რომ იქ მოიპოვება სამრეწველო ნავთი.

ასე იზრდება და მტკიცდება საქართველოს სსრ ნავთის ახალგაზრდა მრეწველობა, რომლის ჩასახვა, განვითარება და ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, დიდი სტალინის მებრძოლი თანამოსაგრის **ლ. პ. ბერიას** სახელთან.

ამხანაგო დეპუტატებო! მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულება, 1939 წლის ბიუჯეტის შესრულება ჩვენგან სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სასახელოდ შეასრულებენ თავიანთ ამოცანას, რადგან - ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს საქ. კ. პ. (ბ) უმტკიცესი, მონოლიტური რაზმი—საქართველოს კომპარტია, რომელიც ამაყობს იმის შეგნებით, რომ იგი აღზარდა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა **ი. ბ. სტალინმა. (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).**

ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მუშაობის სტალინურ სტილზე აღზარდა დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ და მებრძოლმა თანამოსაგრემ ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ. (მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის განსახილველად წარმოდგენილი პროექტი ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტისა დამტკიცდეს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებებით.

გაუმარჯოს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

### დეპუტატ შ. ი. ჭანუყვაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მოისმინა ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და 1939 წლის ბიუჯეტის შესახებ; მოხსენებაში მოყვანილი ციფრები ნათელჰყოფს, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის მშობლიური **სტალინის** მზრუნველობის შედეგად.

ის წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, სოციალისტური კულტურისა და სხვ. დარგში, მტკიცედ არის დაკავშირებული დიდი **სტალინის** თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. **ლ. პ. ბერიას** სახელთან.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ლანჩხუთის რაიონის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების საერთო ოდენობაზე და მათს ათვისებაზე წლების მიხედვით. 1937 წელს ლანჩხუთის რაიონის ბიუჯეტი შეადგენდა 3.089 ათას მანეთს, 1938 წელს კი 4.950 ათას მანეთს, ხოლო 1939 წელს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ლანჩხუთის რაიონისათვის გათვალისწინებულია 5.828.600 მანეთი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები 50-55% მოხმარდება სახალხო განათლების საქმეს. ასევე თვალსაჩინო თანხაა გათვალისწინებული რაიონში ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა გასატარებლად.

1939 წლის ბიუჯეტით სახალხო განათლებაზე დაიხარჯება 3.330.600 მანეთი. პარტიისა და ხელისუფლების ამ უდიდესი მზრუნველობის შედეგად, რაიონში გვაქვს 9 საშუალო და 56 არასრული საშუალო სასწავლებელი 8.257 მოსწავლით.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 1938 წელს გათვალისწინებული იყო 642.400 მანეთი. 1939 წლის ბიუჯეტით კი გათვალისწინებულია 1.077.600 მანეთი. ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიაც საკმაო მიღწევები გვაქვს. რაიონში ამჟამად მუშაობს 35 ექიმი და ექიმის თანაშემწე.

ამხანაგო დეპუტატებო! დღითიდღე იზრდება ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავალი. 1937 წელს იგი უდრიდა 51.895.000 მანეთს, 1938 წელს კი—54.838 ათას მანეთს. 1939 წელს ნავარაუდევია 65.172 ათასი მანეთი. რაიონში 44 კოლმეურნეობაა, 5 ჩაის ფაბრიკა, რომლებიც ამუშავებენ გეგმით გათვალისწინებულ 3.350.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მინდა გადმოგცეთ ის უდიდესი აღფრთოვანება და სიხარული, რასაც განიცდის ლანჩხუთის მშრომელი მოსახლეობა სუფსის ნავთის სარეწაოების ამუშავების გამო. ამჟამად მიდის გაცხოველებული მუშაობა 8 ბურღილზე. ძიება კი 15 ბურღილზე გრძელდება, რაც ბრწყინვალე შედეგებს იძლევა.

1940 წლის პირველი იანვრისათვის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივის ვალდებულებით სახელმწიფოს მივცემთ 2.000 ტონა მაღალხარისხოვან ნავთს. მესამე ხუთწლედში სუფსის ნავთის ყველა სახის სამუშაოებსა და მშენებლობაზე დაიხარჯება დაახლოებით 60 მილიონი მანეთი.

ბიუჯეტი წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის სარკეს და ჩვენც, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიის XVIII ისტორიული ყრილობის დადგენილებათა და ამხანაგ **სტალინისა** და **მოლოტოვის** მოხსენებების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქ. სახკომსაბჭოს ხელმძღვანელობა-დახმარებით დაუღალავად ვიბრძოლებთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად როგორც სოფლის მეურნეობის, ისევე მრეწველობის დარგშიც.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ **სტალინს!**

გაუმარჯოს სტალინის თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს **ლავრენტი ბერიას! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

# საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

## საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დეტალურად იქნა განხილული. ყველა გამოსული დეპუტატი მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი მთლიანად გამომდინარეობს ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის მიერ მიღებული მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანებიდან და უზრუნველჰყოფს საქართველოს სახალხო მეურნეობის და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ, რომელმაც გულდასმით განიხილა საქართველოს 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ სწორად გაითვალისწინა ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები და სწორი მიმართულება მისცა სახელმწიფო სახსრების ხარჯვას.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთსულოვანი მოწონება საბიუჯეტო კომისიისა და კამათში გამოსული დეპუტატების მიერ გვიჩვენებს, რომ ის უპასუხებს იმ დიდ ამოცანებს, რომელიც დგას ჩვენი რესპუბლიკის წინაშე 1939 წელში.

ბიუჯეტის ზუსტად განხილვის შედეგად საბიუჯეტო კომისიამ საჭიროდ სცნო მასში მთელი რიგი ცვლილებების შეტანა.

საბიუჯეტო კომისიას შემოაქვს წინადადება: გადიდდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 2.675 ათასი მანეთით. აქედან: რესპუბლიკურ ბიუჯეტში მოგების ანარიცხები 233 ათასი მანეთით, სხვადასხვა შემოსავალი 345 ათასი მანეთით; ადგილობრივ ბიუჯეტში — სატყეო შემოსავალი 1.225 ათასი მანეთით, ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავალი 482 ათასი მანეთით, გასული წლის საბიუჯეტო ნაშთი 392 ათასი მანეთით.

საბიუჯეტო კომისიას, ბიუჯეტის განხილვის შედეგად, საგასავლო ნაწილში შეაქვს ცვლილებები 2.675 ათასი მანეთის რაოდენობით, ე. ი. იმ თანხით, რომლითაც გადიდებულია საშემოსავლო ნაწილი. აქედან დიდდება ხარჯები რესპუბლიკურ ბიუჯეტში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 578 ათასი მანეთით, დანარჩენი თანხა 2.097 ათასი მანეთის რაოდენობით გათვალისწინებულ იქნა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი დარგების მიხედვით:

| | |
|---|---|
| 1. კომუნალურ მეურნ. ხაზით | 95 ათასი მანეთი |
| 2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხაზით | 332 „ „ |
| 3. რაიონული აღმასკომების აპარატის შენახვისათვის | 138 „ „ |
| 4. სასოფლო საბჭოების და რაიაღმასკომების შენობების შეკეთება | 172 „ „ |
| 5. ადგილობრივ საბჭოებში სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიების ჩატარება | 436 „ „ |
| 6. ადგილობრივი საბჭოების სხვადასხვა ხარჯები | 924 „ „ |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დამავალა განვეცხადო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ იგი მიზანშეწონილად სთვლის საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების შეტანას ბიუჯეტში და შესაძლებლად მიაჩნია მიღებულ იქნეს საბიუჯეტო კომისიის წინადადება, ე. ი. 1939 წლის ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილი გადიდდეს 2.675 ათასი მანეთით, ანუ იმ თანხით, რაც წამოყენებულია უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ.

გარდა საბიუჯეტო კომისიის წინადადებისა, კამათში გამოსული დეპუტატების მიერ წამოყენებული იყო მთელი რიგი საკითხები და ცალკე წინადადებები.

დეპუტატი ხუბაევი მოითხოვს: გადიდებულ იქნას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი. მან მოითხოვა აგრეთვე ებრაელთა სახლების მშენებლობის დასამთავრებლად 150 ათასი მანეთის და სასადილოს მშენებლობისათვის 75 ათასი მანეთის დამატებით გადადება, აგრეთვე სახსრები ადმინისტრატიული სახლის, სასტუმროს, კლუბების და საცხოვრებელი სახლების ახალ მშენებლობათათვის.

უნდა განვაცხადო, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელში აღნიშნული სახსრების გაღება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან საკითხი ეხება კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს, რომლებიც უკვე განაწილებულია და მთლიანად ამოწურულია. ეს მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ ახალი საბიუჯეტო წლიდან.

დეპუტატმა ხუბაევმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება არსებული ზოოტექნიკუმის სას.-სამ. ტექნიკუმად გადაკეთების შესახებ. ეს საკითხი განხილული იქნება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და ამხანაგ ხუბაევის თხოვნა ალბათ დაკმაყოფილებული იქნება.

რაც შეეხება დეპუტატ ხუბაევის მოთხოვნას ქალაქის კეთილმოწყობაზე ხარჯების 100 ათასი მანეთით გადიდების შესახებ, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამ დანიშნულებისათვის მიღებული იყო 566 ათასი მანეთი. ეს საკითხი განხილულ იქნა უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში და სახკომსაბჭო ეთანხმება საბიუჯეტო კომისიის წინადადებას, რომ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი გადიდებულ იქნას კეთილმოწყობის ღონისძიებათა ხაზით 40 ათასი მანეთით, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს კეთილმოწყობის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებას.

დეპუტატმა კიკნაძემ წამოაყენა საკითხი კრედიტების განმკარგულებლის უფლების შესახებ, სასკოლო ხარჯების ცენტრალიზაციის და შტატების განაწილების შესახებ. ეს საკითხები, ჩემის აზრით, სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი და განხილული სახკომსაბჭოს მიერ, ვინაიდან მათ განათლების სახალხო კომისარიატი პირველად აყენებს და სახკომსაბჭოს არ ჰქონია ამ საკითხებზე მსჯელობა.

სავსებით სწორად მიმაჩნია დეპუტატ კიკნაძის განცხადება ბიუჯეტში რუსული ენის მასწავლებელთა ხელფასების სრული განაკვეთების გათვალისწინების შესახებ.

განათლების სახალხო კომისარიატის განაცხადი სახკომსაბჭომ ბიუჯეტის განხილვის დროს დააკმაყოფილა, მაგრამ იმის გამო, რომ განათლების სახალხო კომისარიატს რუსული ენის მასწავლებელთა დატვირთვის ზუსტი აღრიცხვა არ ჰქონდა, შესაძლებელია ზოგიერთი რაიონის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის განაკვეთისა და ფაქტიური დატვირთვის განსხვავება. თუ ასეთი შეცდომებია დაშვებული, ეს გამოსწორებულ უნდა იქნას განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ბიუჯეტის შესრულების პროცესში.

დეპუტატმა ჭელიძემ ფრიად სერიოზული საკითხი წამოაყენა — ცაგერ—წყალტუბოს გზის მშენებლობის დამთავრების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცაგერის და ქვემო-სვანეთის რაიონებისათვის. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ და საბიუჯეტო კომისიამ იქონიეს მსჯელობა ამ საკითხზე და მიზანშეწონილად სთვლიან აღნიშნულ ღონისძიებაზე წელს 200 ათასი მანეთის გაღებას საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ გზათა სამმართველოს ხაზით კრედიტების გადანაწილების საშუალებით.

დეპუტატი ლეკიშვილი შეეხო რაიფინგანის და რაიაღმასკომის შოფერების ხელფასში არსებულ განსხვავებას. ამ საკითხის გამოსწორებისათვის მიღებულია ღონისძიებები, მაგრამ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ, რომელთაც აქვთ ხელფასების გადიდების უფლება, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ახლო მომავალში აღნიშნული საკითხი მოგვარებული იქნება.

საკითხი ცხენების შესანახი თვიური ხარჯების შესახებ 1939 წლის ბიუჯეტით უკვე მოგვარებულია და გათვალისწინებულია როგორც რაიფინგანების, ისე რაიმიწგანების ხაზით 160 მანეთის რაოდენობით.

საგარაჟო მეურნეობის საკითხში დეპუტატ ლეკიშვილის განცხადება მიღებული იქნება სახკომსაბჭოს მიერ მხედველობაში 1940 წლისათვის.

დეპუტატმა ლეკიშვილმა დააყენა საკითხი კოლმეურნეებზე და ერთპიროვნულ მეურნეებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამის შესახებ. ეს საკითხი, როგორც თბილისის, ისე სხვა რაიონისათვის გადაჭრილი იქნება ბიუჯეტის შესრულების პროცესში. სახალხო კომისართა საბჭომ და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ არ სცნეს მიზანშეწონილად ამ საკითხის გადათვალიერება, ვინაიდან გადასახადის ეს რაოდენობა საქართველოში მიღებულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ.

დეპუტატი სარქისოვი მოითხოვს ახალქალაქის რაიონში წისქვილის მშენებლობის დასამთავრებლად 80 ათას მანეთს, ახალქალაქის სოფლის საბჭოს შენახვისა და სატყეო მეურნეობის ხარჯებისათვის 30 ათას მანეთს.

დეპუტატ სარქისოვის ამ მოთხოვნიდან სახკომსაბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს წისქვილის მშენებლობის დამთავრება, რაც უნდა მოხდეს ბიუჯეტის შესრულების პროცესში კრედიტების გადანაწილების საშუალებით.

სატყეო მეურნეობის ხარჯები უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტით 15 ათასი მანეთის რაოდენობით და სოფლის საბჭოს ხარჯების გათვალისწინებისათვის კი საჭიროა სათანადო ორგანოების დადგენილება.

ამ შესწორებათა და შენიშვნათა გარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ, აგრეთვე კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის და მისი ძირეული ორგანოების მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებანი. უნდა განვაცხადო, რომ ეს კრიტიკა სრულიად სამართლიანია. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ათვისების საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული უწყებათა და ორგანიზაციათა მუშაობაზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც ფინგანის მიერ გახსნილი კრედიტები უწყებათა და ცალკე ორგანოების მიზეზით წლის ბოლოსათვის გამოუყენებელი რჩება. უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუჯეტის შესრულების საქმეში პასუხისმგებელნი არიან არა მარტო საფინანსო ორგანოები, არამედ სხვა ორგანიზაციებიც.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კამათში გამოსული ზოგიერთი დეპუტატი შეეხო დაფინანსების საგრძნობ ზრდას ცალკე ღონისძიებების მიხედვით, მაგრამ არცერთ დეპუტატს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ რამდენად მომჭირნეობით და რამდენად ეკონომიურად იხარჯება სახელმწიფო სახსრები, ან რა ღონისძიებაა მიღებული ცალკე უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ ხარჯების უყაირათოდ ხარჯვის წინააღმდეგ.

მე მხედველობაში მაქვს ხელოვნების კომიტეტის მთავარი სამმართველო და მთელი რიგი სხვა დაწესებულებები, სადაც ადგილი აქვს უყაირათობას და ზოგ შემთხვევაში გაფლანგვებსაც. ცალკე უწყების და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, ისე როგორც მის ათვისებაში, მათაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის და დეპუტატების სამართლიანი კრიტიკული გამოსვლებიდან ყველა საფინანსო ორგანოებმა პრაქტიკული დასკვნები უნდა გამოიტანონ და გარდაქმნან თავისი მუშაობა.

საქართველოს სსრ 1939 წლის ბიუჯეტი, წარმოდგენილი საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, მოწონებულია. ის მთლიანად უზრუნველჰყოფს 1939 წელში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გრანდიოზული გეგმის განხორციელებას. **(ტაში).**

## საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრის ამხ. ა. ვ. ჯორბენაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ციმაკურიძის მოხსენების გარშემო კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი. დეპუტატებმა მოიწონეს აგრეთვე საბიუჯეტო კომისიის მიერ 1939 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებანი.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტში სწორად არის ასახული XVIII პარტყრილობის მიერ მოცემული მითითებანი მესამე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ერთსულოვანი მოწონება ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა ხალხის ურყევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მშრომელთა ფართო მასების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი. (ტაში).**

დეპუტატებმა შემოიტანეს მთელი რიგი წინადადებანი, რომელნიც სახკომსაბჭომ თავის პრაქტიკულ მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიის მიერ 1939 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებანი შეთანხმებულია სახალხო კომისართა საბჭოსთან და სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი კანონის პროექტშიაც გათვალისწინებულია საბიუჯეტო კომისიის წინადადებანი.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით.

მე მოვუწოდებ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ბოლშევიკურად იბრძოლონ სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის და ამით უზრუნველჰყონ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ XVIII პარტყრილობის მითითებათა განუხრელად განხორციელება.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

# რსფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

## 25 ივლისის პირველი სხდომის დღიური

25 ივლისს, საღამოს 6 საათზე, კრემლში გაიხსნა რსფსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. სესია გახსნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ა. ა. ჟდანოვმა.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა ოთხი საკითხისაგან შემდგარი დღის წესრიგი: რსფსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და რსფსრ 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება; რსფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ დებულების დამტკიცება; რსფსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები; რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია პირველიდან მეორე სესიამდე განვლილ პერიოდში და რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას რსფსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. უმნოვმა.

— რსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, — ამბობს ამხ. უმნოვი, — 1938 წელს, 1937 წელთან შედარებით, გაიზარდა 1 მილიარდი და 800 მილიონი მანეთით, ანუ 9 პროცენტით, ხოლო საგასავლო ნაწილი — 1 მილიარდი და 863 მილიონი მანეთით, ანუ 9,6 პროცენტით. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენდა 21 მილიარდსა და 686 მილიონ მანეთს, ხოლო საგასავლო ნაწილი — 21 მილიარდსა და 390 მილიონ მანეთს.

ილაპარაკა რა სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების შესახებ, უმნოვმა განაცხადა, რომ სახალხო მეურნეობას მოხმარდა 4 მილიარდი და 674 მილიონი მანეთი, სოციალურ - კულტურულ ღონისძიებებს — 14 მილიარდი და 28 მილიონი მანეთი. 1939 წლის შემოსავლის მოცულობა 24.415 მილიონი მანეთით განისაზღვრება. ეს შემოსავალი წარსულ წელთან შედარებით, 12,6 პროცენტით დიდდება.

რსფსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილით სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გათვალისწინებულია 5.580,5 მილიონი მანეთი — 21,7 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯი 16.052,2 მილიონ მანეთს შეადგენს.

საბიუჯეტო ასიგნობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი მშენებლობის დაფინანსებას მოხმარდება.

ამხ. უმნოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ სესიის სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა შესდგება 26 ივლისს დილის 11 საათზე. (საკდესი).

# უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

**კიევი,** 25 ივლისი (საკდესი). დღეს დაიწყო მუშაობა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ. საღამოს 6 საათია. უმაღლესი საბჭოს სასესიო დარბაზი უკრაინის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებით, კიევის საწარმოთა სტახანოველებით, კიევის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით ივსება.

პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოჩნდნენ უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ა. ბურმისტენკო, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი და პ. გ. რადჩენკო, რომლებსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან.

პრეზიდიუმის ლოჟაში არიან ამხ. ხრუშჩევი, კორნიეცი, ტიმოშენკო და სხვები. ლოჟაში მარჯვნივ არიან უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს წევრები ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს მეთაურობით.

სესია იღებს შემდეგ დღის წესრიგს: 1. უკრაინის სს რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და უკრაინის სს რესპუბლიკის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება; 2. დამტკიცება „დებულებისა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, სარაიონო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების შესახებ"; 3. უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევა; 4. უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია პირველიდან მეორე სესიამდე განვლილ პერიოდში და რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა უკრაინის სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ნ. ი. კურაჩმა.

ამხ. კურაჩი დაწვრილებით ჩერდება 1937 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგებზე და შემდეგ გადადის უკრაინის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის განხილვაზე. ეს ბიუჯეტი ორივე ნაწილში 6.583.650 ათას მანეთს შეადგენს.

მთელი დარბაზის საერთო მოწონებით ამხ. კურაჩი აცხადებს:

— დარწმუნებული ვარ, რომ აყვავებული საბჭოთა უკრაინის ბიუჯეტი ღირსეულად იქნება შესრულებული. იგი შესრულებული იქნება იმიტომ, რომ უკრაინელი ხალხი უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და თავისი ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისა.**

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებით გამოვიდა დეპუტატი ქ. ს. კარავაევი.

# ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

**მინსკი,** 25 ივლისი (საკდესი). დღეს მინსკში გაიხსნა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. სესია გახსნა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნ. გ. გრეკოვმა.

დეპუტატ ს. ს. იგაევის წინადადებით სესია იღებს შემდეგ დღის წესრიგს:

ბელორუსიის სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და 1938 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება; „ბელორუსიის სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" დამტკიცება; ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები; ბელორუსიის სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ; დამტკიცება ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებებისა, რომლებიც მიღებული იყო პირველი და მეორე სესიებს შორის, და აგრეთვე ბელორუსიის სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.

დეპუტატს ა. პ. მატვეევს შეაქვს წინადადება გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა პარტიისა და ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. ამხ. მატვეევის წინადადებას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება. დეპუტატები სტუმრებთან ერთად აღტაცებულ ოვაციას ჰმართავენ. ისმის შეძახილები:

„გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"

„ვაშა" საყვარელ სტალინს!"

შემდეგ დღისწესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებისათვის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბელორუსიის სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ი. ზ. სტეპანოვს.

# ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

## კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში

„საქჩაის" 25 ივლისის ცნობებით

| რაიონები | ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა ტონობით | დამზადებულია სეზონის დაწყებიდან ტონობით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 1.705 | 937,7 | 55 | 61,3 |
| ქობულეთი | 7.848,6 | 4.450,6 | 56,7 | 71,6 |
| გალი | 3.128 | 2.109,1 | 67,4 | 77,7 |
| ოჩამჩირე | 1.793 | 1.150,1 | 64,1 | 66,3 |
| სოხუმი | 14 | 8,4 | 60 | 80 |
| გუდაუთა | 16 | 18,3 | 114,4 | 172,5 |
| მახარაძე | 10.011 | 5.692,3 | 56,9 | 79,1 |
| ჩოხატაური | 1.253 | 818,2 | 65,3 | 84,3 |
| ლანჩხუთი | 3.350 | 1.932,1 | 57,7 | 76,8 |
| სამტრედია | 261 | 177,6 | 68 | 71,7 |
| წულუკიძე | 1.151 | 739 | 64,2 | 73,7 |
| ქუთაისი | 317 | 247,3 | 78 | 72,2 |
| ტყიბული | 510 | 289,6 | 56,8 | 77,7 |
| ცხაკაია | 929 | 694,1 | 74,7 | 81,7 |
| გეგეჭკორი | 2.626 | 1.480,1 | 56,4 | 61,8 |
| ზუგდიდი | 4.881,4 | 3.156,2 | 64,7 | 76,9 |
| წალენჯიხა | 1.618 | 1.008,1 | 62,3 | 68,9 |
| ჩხოროწყუ | 1.302 | 865,7 | 66,5 | 78,1 |
| ხობი | 386 | 239,6 | 62,1 | 68,6 |
| **სულ** | **43,100** | **26.014,1** | **60,4** | **74,3** |

○

ბათუმისა და მახარაძის რაიონებ ის ცნობებში სალიბაურის, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საცდელ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ფაბრიკების მიერ დამზადებული ფოთლის რაოდენობა შედის 20 ივლისის მდგომარეობის მიხედვით.

# მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 26 ივლისის ბრძანებულებით, მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარებასა და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში წარმატებითი მუშაობისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს 149 მუშაკი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ვასილ სერგეის-ძე ნემჩინოვი — სტატისტიკის პროფესორი, ივანე ვასილის-ძე საუტინი — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსი და ვლადიმერ ნიკონის-ძე სტაროვსკი — სტატისტიკის პროფესორი — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის ბიუროს უფროსის მოადგილე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 21 კაცი. მათ შორის: ალი აბდულოვი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, არტიკ ბერდიკულოვი — ტაშკენტის ოლქის პარკენტის რაიონის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორი, გრიგოლ თევდორეს-ძე გალკინი — ქალაქ ლენინგრადის სმოლნის რაიონის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორი, კოსმაგამბეტ ერმეკის-ძე ერმეკოვი — გურიევის ოლქის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, ილარიონ ვასილის-ძე ჟატოვი — ნოვოსიბირსკის ოლქის პროკოპიევსკის რაიონის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორი, კონსტანტინე ერემიას-ძე ზაგორუიკო — ხაბაროვსკის მხარის ქალაქ ალექსანდროვსკ-სახალინსკის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორი, ელენე იაკობის-ასული მეშვილდიშვილი — საქართველოს სსრ გორის რაიონის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორი, ვასილი არხიპის-ძე რიაბიჩკო — უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 45 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 80 კაცი. (საკდესი).

# იაპონელთა პროვოკაცია გრძელდება

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების შტაბის ცნობით, 23-25 ივლისის განმავლობაში იაპონია-მანჯურიის ჯარებმა არაერთხელ სცადეს იერიში მიეტანათ და ხელში ჩაეგდოთ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების პოზიციები მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით. ამ იერიშებს მონღოლეთ-საბჭოთა ჯარები მუდამ იგერიებდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ იაპონია-მანჯურიის ჯარებს.

მონღოლეთ - საბჭოთა ჯარებს მტკიცედ უკავიათ წინანდელი პოზიციები მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ხმელეთის ჯარების შეტაკებათა გარდა ამ დღეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა აგრეთვე ავიაციის შეტაკებებს.

23 ივლისის საჰაერო ბრძოლების შედეგად იაპონიის ავიაციამ დაჰკარგა 15 ავიაგამანადგურებელი, 2 ყუმბარმშენი, 2 მზვერავი და 1 აეროსტატი, რომელიც აწესრიგებდა იაპონიის საარტილერიო სროლას. ამ ბრძოლების შემდეგ მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის აეროდრომებზე არ დაბრუნებულა 5 თვითმფრინავი.

ამავე დღეს ჩამოაგდეს და ტყვედ წამოიყვანეს იაპონიის მსუბუქ ყუმბარმშენთა საავიაციო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი **კოვარო,** რომლის ჩვენება ადასტურებს, რომ იაპონელებმა საომარი მოქმედების რაიონში ავიაციის დიდ ძალებს მოუყარეს თავი ჩანჩუნიდან, ხარბინიდან, სიპინგაიდან, ხაილარიდან და სხვა რაიონებიდან.

საჰაერო ბრძოლა სწარმოებდა აგრეთვე 24 და 25 ივლისს. ავიაგამანადგურებელთა მცირერიცხოვანი ჯგუფების შეხვედრით დაწყებული შეტაკებანი, როგორც წესი, დიდ საჰაერო ბრძოლებად იქცეოდა. 24 ივლისის განმავლობაში საჰაერო შეტაკებათა შედეგად იაპონელებმა დაჰკარგეს 34 ავიაგამანადგურებელი, 2 ყუმბარმშენი და 1 აეროსტატი. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის აეროდრომებზე არ დაბრუნებულა 9 თვითმფრინავი.

25 ივლისის განმავლობაში ჩამოგდებულია იაპონიის 19 თვითმფრინავი, დაიწვა 1 აეროსტატი. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის აეროდრომებზე არ დაბრუნებულა 6 თვითმფრინავი. (საკდესი).

# გერმანიის ჯარი სამხრეთ ტიროლში შევიდა

**ვარშავა,** 26 ივლისი (საკდესი). როგორც ახლა გამოირკვა, 5 ივლისს ვენაში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს დარბაზობის დროს დადებულ იქნა იტალია-გერმანიის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გერმანიის ჯარი იკავებს სამხრეთ ტიროლს. ემყარება რა ბრნერიდან მიღებულ ცნობებს, „კურიერ პოლსკი" იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში იტალია-გერმანიის საზღვარზე გადავიდნენ გერმანიის ჯარის მოტორიზებული ნაწილები. სამხრეთ ტიროლიდან გადაასახლეს ყველა უცხოელი. ტიროლში იმყოფებიან ბავარელ მსროლელთა ბრიგადები. მოელიან მსროლელთა და არტილერიის ახალი ნაწილების ჩასვლას. იტალიის ტერიტორიაზე აგებულია 3 აეროდრომი გერმანიის თვითმფრინავებისათვის. ანხორციელებს რა იტალია-გერმანიის ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებულ სპეციალურ საომარ გეგმას, — სწერს გაზეთი, — გერმანია საფრანგეთთან ომის შემთხვევისათვის ბრნერის სამხრეთით თავს უყრის დაახლოებით 6 დივიზიას.

# დაძაბული მდგომარეობა დანციგში

**პარიზი,** 26 ივლისი (საკდესი). ტაბუი გაზეთ „ევრში" აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა დანციგში განსაკუთრებით გამწვავდა. ქალაქი შეიარაღებულ ბანაკად არის გადაქცეული. ყაზარმები სავსეა ჯარით. გესტაპო მასობრივ დაპატიმრებას ახდენს. ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში 400-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. ქალაქში გამეფებულია ტერორი. ბევრი პოლონელი იმალება და პოლონეთში ჰგზავნის ოჯახობას.

ამავე დროს, ტაბუის სიტყვით, პოლონეთის საზღვრებთან გრძელდება გერმანიის ჯარის კონცენტრაცია. გერმანიის გენერალურ შტაბს თითქოს განზრახული აქვს მხოლოდ 37 დივიზია დასტოვოს გერმანიის დასავლეთ საზღვრებზე, დანარჩენი ნაწილები კი აღმოსავლეთისაკენ გაჰგზავნოს. შესაბამისად შეიცვალა სატრანსპორტო ტვირთზიდვის მიმართულება გერმანიაში. მთელი ტრანსპორტის 80 პროცენტი აღმოსავლეთისაკენ იგზავნება.

# ჩხოროწყუმ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

19 ივლისისათვის ჩხოროწყუს რაიონში დამზადებული იყო 138.495 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, რაც გეგმის 100,5 პროცენტს შეადგენს.

პარკის დამზადება გრძელდება.

ქ. დგებუაძე
შ. შენგელია

# ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

**27 ივლისს** ლ. კეცხოველის სახ. პარტპროპაგანდის სახლში ამხ. ფრიდმანის მოხსენება თემაზე: „ომის საწინააღმდეგო დღის შესახებ". რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**27 ივლისს** საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახ. პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მშობლები არსენა, ნინო, დები ანიკო, ლუსიკო, სიძეები ასატოვი, გველესიანი შვილებით იუწყებიან ძვირფას
**ემმა არსენას-ასულ პეტროსიანის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/VII, 8 ს. წილკანის, 10. გამოსვენება 28/VII, 5 ს. 2598

ლეკვეიშვილი, შავგულიძე, მანჯგალაძე, ოგანეზოვი, ხოშტარია, გაბაშვილი, ანანიაშვილი, ძაგნიძე, გულუა, ქადაგაძე, სანაძე, ზალდასტანიშვილი, შავდია, მინდელი, გიოშვილი იუწყებიან ნიკუშ გაგუას დედის
**რისიკოს**
გარდაცვალებას. 2592

მშობლები ესტატე, ოლღა, ბაბო ლიზა, უახლოესი მეგობარი ლენა ჯიოევა, დები ელენე, კატო, ქეთო, სიძეები ს. მამაცაშვილი, ა. გიგოშვილი შვილებით იუწყებიან, რომ 30/VII, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
**გოგი ესტატეს-ძე ანანიაშვილის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 2599

იერემია, ესმა კაპანაძეები შვილებით, კაკო, თამარ თავდიშვილები შვილით თენგიზით, პროკოფი, თინა რატიანები შვილით ზურაბით იუწყებიან უახლოესი ნათესავის
**ევლოგია (ფუღუნია) იასონის-ასულ კაპანაძის**
გარდაცვალებას. 50

მეუღლე აკაკი, შვილი მიშიკო, დედამთილი ელენე, მაზლები ვახტანგ, ხიკალო, მიშა, ალექსანდრე, რძალი მარგო ქერაშვილები, დეიდები ქმარშვილით იუწყებიან
**თამარ დოდელია-ქერაშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/VII, 5 ს. ბარნოვის, 47. 2595

დამწუხრებული ქმარი იოსებ, შვილი იზა ოსეფაშვილები იუწყებიან დაუვიწყარ
**ლუბა ოსეფაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VII, 5½ ს. გამოსვენება ლენინის, 54.

მამა ისიდორე, დედა კატო, ძმები საშა, ჟორა, რძალი თამარ კახიანები, რძალი ნინა ქაჯაია და გოგუცა ბაიდაშვილი ქმრით ალიოშათი იუწყებიან დაუვიწყარ
**ლუბა კახიანი-ოსეფაშვილის**
გარდაცვალებას. 2600

მეუღლე სიმონ კაპანაძე, დედა კალინიკა, მაზლი აკაკი კაპანაძე, ძმა ვსევოლოდ, ძმისწული ვახტანგ ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარ
**ფუღუნია (ევლოგია) იასონის-ასულ კაპანაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბოსლევში 28/VII. 2597

დები ლიზა, ემილია, ძმისწულები მარო, ნუცა, გრიშა, ანდრო, დისწული თამარ გულუა, სიძე ნიკოლოზ ნიჟარაძე იუწყებიან საყვარელ
**რისიკო ათანასეს-ასულ ქუთათელაძე-გაგუას**
გარდაცვალებას. 2594

ცენტრ. კლინიკური ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ასისტენტ გიგუცი გაგუას დედის **რისიკოს**
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. ფოთში. 2593

მეუღლე ნუცა, შვილები კლავდია, ზურაბ, ტეზიკო, სიძე სერგო კორონელი, შვილიშვილი ია იუწყებიან ძვირფას
**მანუილ სარდიონის-ძე დევდარიანის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. წითელხევში (დაბა ხორაგაული). 2596

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83. მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.